# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძო-ლის გაძღოლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი, 22 ოქტომბერი. 2019 წ. №209 (8875) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი




## გაიტანეთ პარლამენტიდან გრენლანდია!

④



გაგა შურღაია დიდი ივანე ჯავახიშვილის გაკვალულ გზას აგრძელებს ევროპაში.

მარიამ ლორთქიფანიძე.

⑥

## ვახტანგ გორგასალი მარადიულ ქალაქში

## ვის დაუჯეროს ბიუჯეტზე დამოკიდებულმა მოქალაქემ - მთავრობას თუ „საერთაშორისო გამჭვირვალობას“?!

③



⑧

## მაინც რამდენი კაცი შიმშილობს?!

„შიმშილობის მსოფლიო ინდექსი 2019“-ში საქართველოს მონაცემი გაუარესებულია!



⑤

## მოზარე საქართველოისა

შოთა ნიშნიანიძის უკვდავება

## სტრატეგიული შეთანხმება საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა და გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მდივანმა დომინიკ რააბმა 2019 წლის 21 ოქტომბერს ლონდონში ხელი მოაწერეს „საქართველოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას“.**

შეთანხმება ბრექსიტის შემდგომ დიდ ბრიტანეთთან ორმხრივ ურთიერთობაში ჩაანაცვლებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულ ასოცირების შეთანხმებას. დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლობის ფართო სპექტრს და ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს სტრატეგიული პარტნიორობისთვის, ასევე, უზრუნველყოფს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შენარჩუნებას საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის.



## მსოფლიო რანგის წამყვანი მეცნიერები ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გახდებიან

**„პროფესორი Raymond Miralbell, მადრიდის პროტონული თერაპიის ცენტრის სამედიცინო დირექტორი და პროფესორი Roberto Orecchia მილანში, ევროპული ონკოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იქნებიან და უნივერსიტეტის აკადემიურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთვებიან“,** — ამის შესახებ ინფორმაციას ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი ავრცელებს.

**„პროტონული თერაპიის საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში, რომელიც ესპანეთში, ქალაქ მადრიდში იმართება, საქართველოს დელეგაციასა და მსოფლიო რანგის წამყვან მეცნიერებს შორის შეხვედრა შედგა. საქართველოს დელეგაციის წევრები არიან საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ ქართუს გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი განათლების საკითხებში მიხეილ ჩხენკელი, ქართუ ჯგუფის პროექტების მართვის დირექტორი ვახტანგ ცაგარელი და საქართველოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი ალექსანდრე თევზაძე. შეხვედრისას მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ პროფესორი Raymond Miralbell მადრიდის პროტონული თერაპიის ცენტრის სამედიცინო დირექტორი და პროფესორი Roberto Orecchia მილანში, ევროპული ონკოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორი. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იქნებიან და უნივერსიტეტის აკადემიურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთვებიან“,** — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.



# ბიზნესი ეკონომიკაში ძირითადი ძალაა, ამიტომაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია, გქონდეს ძალზე სწრაფი, ეფექტიანი კომუნიკაცია

**გავიხსენოთ ის ტრადიცია, როდესაც საკმაოდ ხშირად აქტიურად ვხვდებოდით, განვიხილავდით ყველა მწვავე საკითხს, არ არსებობდა დახურული თემები და, შესაბამისად, ეს პირველ რიგში, ხელს უწყობდა ჩვენი ეკონომიკის განვითარებას, —** ამ სიტყვებით დაიწყო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ბიზნესასოციაციების

**რამ გვაქვს გასაკეთებელი. გამოწვევა ბევრია, გვესმის, რომ სიღარიბის დონე საკმაოდ მაღალია. გვესმის, რომ ქართულ ბიზნესს სჭირდება მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, რათა გვქონდეს ძლიერი ქართული ბიზნესი, გვყავდეს რაც შეიძლება მეტი ძლიერი ქართული კომპანია, რამეთუ შემდეგ სახელმწიფომ შეძლოს მართლზომიერად, ნელ-ნელა ბიზ-**

**ეფექტიან რეჟიმში არის გადაწყვეტადი მთავრობის მხრიდან, იქნება გადაწყვეტილი. იქ, სადაც სისტემური პრობლემებია, რა თქმა უნდა, თქვენი ჩართულობით, ერთობლივად უნდა მივაღწიოთ შედეგს. აბსოლუტური პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მიმდინარე პერიოდში ყველა გადაწყვეტილება, საკანონმდებლო ან სისტემური ცვლილება, რომელიც იქნება**



წარმომადგენლებთან შეხვედრა.

**„ჩვენი ქვეყნისთვის ეკონომიკური ზრდა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი, სხვადასხვა სფეროში, სხვადასხვა დარგში. ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ ბიზნესი არის ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ძალა და, ამავდროულად, ბიზნესი არის ეკონომიკაში ძირითადი ძალა, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს. ამის გათვალისწინებით, ჩვენთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია გვქონდეს ძალზე სწრაფი, ეფექტიანი კომუნიკაცია, სადაც შევძლებთ, ვუპასუხოთ იმ გამოწვევებს, რომელსაც დღეს ყველამ ერთად უნდა გავცეთ პასუხი, რადგან გვესმის, რომ ეკონომიკური ზრდის ნაწილში ჯერ კიდევ ბევრი**

**ნესსაც გაახსენოს, რა არის სოციალური პასუხისმგებლობა“, —** განაცხადა გიორგი გახარიამ.

**— ჩვენ ასევე ძალიან კარგად გვესმის, რომ ასევე ბიზნესის მხრებზეა ქვეყანაში საშუალო ფენის შექმნაში ძირითადი როლი და ფუნქცია. აქ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას აქვს თავისი კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფუნქცია. ჩვენი დღევანდელი შეხვედრის მიზანია, რომ იქ, სადაც არსებობდა გადაწყვეტილების სწრაფად მიღების და პრობლემების გადაჭრის კომუნიკაციები, წარვადგინოთ. იქ, სადაც არ არსებობდა, შევქმნათ ახალი. ჩემი მხრიდან შემიძლია, დაგარწმუნოთ იმაში, რომ ყველა ის საკითხი, რომელიც მოკლე ვადიან, სწრაფ და**

**მიღებული, იქნება თქვენი სრული ჩართულობით, ოღონდ მოლოდინებიც უნდა იყოს ადეკვატური და ობიექტური. იქ, სადაც მთავრობას მოუწევს „არას“ თქმა, ეს „არა“ უნდა იყოს ადეკვატურად მიღებული. ჩვენი ყველას დიდი პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა, რომ პასუხი იყოს სწრაფი და არ დავხარჯოთ ამაზე ბევრი დრო. იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში „არაც“ პასუხია. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში „არას“ ყველაზე დიდხანს ელოდება ხოლმე ბიზნესი და კომპანია. თქვენ პრაგმატული ხალხი ხართ, აფასებთ დროს. ჩვენც საკმაოდ პრაგმატულად ვაფასებთ დროს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან რესურსს, —** განაცხადა გიორგი გახარიამ.



# ნათია თურნავა: ანაკლიის კონსორციუმს მოვუწოდებ, ფუჭად არ გაფლანგონ დრო!

**ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ინვესტორი იქნება კონცენტრირებული ვალდებულებების შესრულებაზე და წლის ბოლოს დადებს შედეგს, —** ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა ანაკლიის პორტის პროექტთან დაკავშირებით.

მისი თქმით, ხელისუფლებამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ კიდევ ერთხელ გადაუვადა ვალდებულებების შესრულების თარიღი.

**„ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება და კიდევ ერთი შანსი მისცა ინვესტორს, წლის ბოლომდე გადავავადეთ ხელშეკრულების მოშლის თარიღი. იმედი გვაქვს, რომ ინვესტორი იქნება კონცენტრირებული ეს დღეები სწორედ ვალდებულებების შესრულებაზე და წლის ბოლოს დადებს შედეგს. იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ანაკლიის პორტი, რომ მეტი დაგვიანება მიუღებელია“, —** განაცხადა თურნავამ. მისი თქმით, ანაკლიის პორტი თავიდანვე ჩაფიქრებული იყო როგორც სახელმწიფოსა და კერძო ინვესტორის პარტნიორობის სტრუქტურით განსახორციელებული პროექტი.

**„ეს არის კერძო და საჯარო პარტნიორობა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვინდა და გვირჩევნია, კერძო ინვესტორმა თქვას თავისი სიტყვა და წვლილი შეიტანოს ანაკლიის პორტის პროექტის განვითარებაში, ამიტომაც მივეცით კიდევ ერთი შანსი. შემდგომში ვიფიქრებთ სხვა სტრუქტურაზე, მაგრამ მიუხედავად კერძო ინვესტორის პრობლემებისა, ეს პროექტი იმდენად მნიშვნელოვანია, ჩვენ მას მაინც განვახორციელებთ. მოგიწოდებთ, ვაცადოთ ინვესტორს წლის ბოლომდე, მოახერხოს და გააკეთოს თავისი ძალისხმევის კონცენტრირება. იმედი მაქვს, წინ წავწევთ ამ საქმეს“, —** განაცხადა თურნავამ.

# არჩილ თალაკვაძე: ეს არის სამმაგი სტანდარტი!

**როდესაც ექსპრეზიდენტ სააკაშვილის მიერ მძიმე დანაშაულებში მსჯავრდებულთა შეწყალებებს ვაკრიტიკებდით, ეს ადამიანები მაშინ არ გამოსულან რაიმე კრიტიკული პოზიციით. შემდეგ, როცა ქართული ოცნება“ ექსპრეზიდენტ მარგველაშვილს აკრიტიკებდა შეწყალებების გამო, ამბობდნენ, რომ ეს იყო პრეზიდენტზე პოლიტიკური შეტევა. დღეს, როდესაც პრეზიდენტ ზურაბიშვილის გადაწყვეტილებები გახდა საკამათო, თავგამოდებით ითხოვენ გამოძიებას. სამ ანალოგიურ შემთხვევაში სამი სხვადასხვა პოზიცია**



**აქვთ, ეს არის სამმაგი სტანდარტი, —** განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ .

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, **პრეზიდენტმა პარლამენტს მიმართა საკონსულტაციოდ და პარლამენტმა მზადყოფნა გამოთქვა, ამ საკითხზე პრეზიდენტისთვის მოსაზრებები და საკუთარი პოზიცია მიეწოდებინა, თუ როგორ უნდა იყოს ჩამოყალიბებული შეწყალების კრიტერიუმები. საკანონმდებლო თვალსაზრისით შეწყალების პროცედურები რეგულირდება პრეზიდენტის ბრძანებულებით. შესაბამისად, თუ ის გადაწყვეტს, შეცვალოს შეწყალების წესები და კრიტერიუმები, პრეზიდენტს საკუთარ ბრძანებულებაში შეაქვს ცვლილებები. რამდენადაც ვიცი, ჩვენ უკვე გადმოგვეგზავნა პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან სამუშაო ვარიანტი. ჩვენს პოზიციებს მივაწვდით ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, კონსულტაციები დაწყებულია“, —** განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.



# სალომე ზურაბიშვილმა იაპონელი მეგობრები საქართველოში მოიწვია

**საქართველოს პრეზიდენტმა ტოკიოში ვიზიტის ფარგლებში, სამუშაო ლანჩი გამართა იაპონიის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის წარმომადგენლებთან. იაპონურმა მხარემ საქართველოს პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა იაპონიაში ვიზიტისთვის და იმპერატორის ტახტზე ასვლის ცერემონიაში მონაწილეობისათვის.**

მხარეებმა შეხვედრისას განიხილეს საქართველო-იაპონიის პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის და სპორტის სფეროში თანამშრომლობა. საუბარი შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას. საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის წარმომადგენლების განცხადებით, მიუხედავად იმ სირთულეებისა, რაც მსოფლიოში არსებობს, საქართველოში არსებული ვითარება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი მდგომარეობა მსოფლიო თანამეგობრობამ არ უნდა დაივიწყოს. სალომე ზურაბიშვილმა იაპონიის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფი საქართველოში მოიწვია. შეხვედრას ესწრებოდნენ: იაპონიის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარე იჩირო აისავა, საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის გენერალური მდივანი იასუტოში ნიშიმურა, საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის წევრი მიდორი მაცუშიმა, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპული ბიუროს, ცენტრალური აზიისა და კავკასიის დეპარტამენტის დირექტორი მიკიტო ტომიიამა და ტოიოტას სტადიონის პრეზიდენტი ტოშინობუ ობატა.

# პრეზიდენტი ტოკიოს მერს შეხვდა

**საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ტოკიოში სამუშაო ვიზიტის მიმდინარეობისას შეხვედრა გამართა ტოკიოს მერთან, რომელთანაც ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და ტურისტული მიმართულებების განვითარების საკითხები განიხილა.**

საქართველოს პრეზიდენტმას მადლობა გადაუხადა იაპინიას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისათვის, ისაუბრა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი რთული ვითარების შესახებ და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ჩვენი პარტნიორი ქვეყნის მხარდაჭერა და თანადგომა.

# საქართველოს საელჩოს ახალი შენობა ლონდონში



**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა ქ. ლონდონში ვიზიტის ფარგლებში მოინახულა საქართველოს საელჩოს ახალი შენობა, სადაც შეხვედრა გამართა ლონდონში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.**

მინისტრმა დიასპორის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაზე, რომელსაც ხელი მისი ვიზიტის დროს მ.წ. 21 ოქტომბერს მოეწერება.

მინისტრის შეფასებით შეთახმება ამოქმედდება გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლის შემდგომ და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ორი ქვეყნის ურთიერთობების განვითარებას ყველა მიმართულებით, რადგან შეთანხმება მოიცავს თანამშრომლობის ყველა სფეროს, მათ შორის თავისუფალი ვაჭრობის პირობას.

# ვის დაუჯეროს ბიუჯეტზე დამოკიდებულმა მოქალაქემ – მთავრობას თუ „საერთაშორისო გამჭვირვალობას"?!




**მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის ირგვლივ დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი. ვინაიდან 2020 წლის ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნები უნდა გაიმართოს, თითოელი ზედმეტად გაცემული ლარი სწორედ მას უკავშირდება.**

მთავრობას ურჩევენ არჩევნებამდე რამდენიმე თვის განმავლობაში თავი შეიკავოს ისეთი პროექტების განხორციელებისაგან, როგორიცაა სახელმწიფო პენსიის ზრდა და საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლების ხელფასების მატება. „საერთაშორისო გამჭვირვალობის" ანალიტიკოსთა მოსაზრებით, ასეთი ქმედებები აღიქმება საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად.

ამიტომ გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკისა და შემცირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფონზე, უმჯობესია, მთავრობამ ბიუჯეტი ეკონომიკური ზრდის უფრო რეალურ მაჩვენებელზე დაგეგმოს, ხოლო ინფლაციის დონის მატების და ლარის მნიშვნელოვნად გაუფასურების ფონზე საბიუჯეტო პოლიტიკა მეტად უნდა იყოს თავსებადი გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკასთან.

ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ მთავრობის ხარჯების, ბიუჯეტის დეფიციტის და გაზრდილი სახელმწიფო ვალის აღებას ნეგატიური გავლენა ექნება ლარის კურსზე და ინფლაციის დონეზე. შესაბამისად, მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს მის მიერ მიღებული სტრატეგიული დოკუმენტების მოთხოვნები და სახელმწიფო ვალის შემცირებაზე იფიქროს, ნაცვლად ვალის ზრდისა.

ხელისუფლებაში, რასაკვირველია, არ იზიარებენ კრიტიკას და ამბობენ, რომ როგორც უნდა მომხდარიყო ხარჯის ზრდა, მაინც ვერ ასცდებოდნენ მსგავსი სახის სპეკულაციებს. ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **აკაკი ზოიძე** უკმაყოფილოა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" შეფასებით 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ საარჩევნო წელს მთავრობამ თავი უნდა შეიკავოს გაზრდილი საბიუჯეტო ხარჯებისგან. დეპუტატის აზრით, ეს არის ტენდენციური დასკვნა, აბსოლუტურად მიუღებელი რეკომენდაციებით.

**„არ გაბედოთ პენსიების და ხელფასების მატება, სანამ არ ჩატარდება არჩევნები! – ასეთია რეკომენდაცია.** მოდით, ვკითხოთ პენსიონერებს და დაბალხელფასიან ადამიანებს, ვისი ხელფასის მატებაზეც არის საუბარი, როგორ აფასებენ ამ ინიციატივას", – განაცხადა ზოიძემ.

პარლამენტის წევრი **დიმიტრი ხუნდაძე** კი პირდაპირ ამბობს, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობის" დასკვნას საზოგადოებამ არ დაუჯეროს:

**„მათი შემოთავაზებით, არასოდეს პენსია არ უნდა გავზარდოთ. არ შეხედოთ „გამჭვირვალობას", შეხედეთ რეალობას. „გამჭვირვალობის" დაჯერებამ ზოგჯერ შესაძლოა, უხერხულობაც შექმნას** და დღევანდელ მაგალითს მოვიყვან: ჩვენი პატივსაცემი ჟურნალისტები უხერხულში ჩავარდნენ.

„გამჭვირვალობამ" გამოაქვეყნა საჯარო სამსახურის თანამდებობის პირის ოჯახის წევრების დასაქმების შემთხვევები, რომლებიც ნეპოტიზმის მაღალ რისკს შეიცავს და დღეს როცა შემოვდიოდი, გზა გადამიღობა, პრაქტიკულად, ყველა ჟურნალისტმა და დასვეს კითხვა, რატომ მუშაობს ჩემი მეუღლე საჯარო სამსახურში და იღებს ბიუჯეტიდან ხელფასს. ეს არის აბსოლუტურად ტყუილი. არც ერთ თეთრს ჩემი მეუღლე არ იღებს საჯარო სამსახურში ბიუჯეტიდან, იმიტომ, რომ ელემენტარულად, ის იქ არ მუშაობს.

ობიექტურობიდან გამომდინარე, უნდა დავადასტურო ისიც, რომ განხორციელდა ზარი „გამჭვირვალობიდან". პროექტის ხელმძღვანელი იყო, თუ არ ვცდები და ბოდიში მოიხადა, რომ ეს იყო არასწორი ინფორმაცია. ასე რომ, მეგობრებო, არც თუ ისე იშვიათად ხდება საჯარო მოხელეების, დეპუტატების გამიზნული დისკრედიტაცია, – განაცხადა ხუნდაძემ.

**რაც შეეხება 2020 წლის ბიუჯეტის პროექტს, მისი ხარჯები მართლაც ნახტომისებურად მატულობს. მხოლოდ მიმდინარე ხარჯები ერთი მლრდ ლარით იზრდება, სადაც ყველაზე დიდი წილი – 451 მლნ ლარი სოციალურ ხარჯებზე მოდის. ამ მიმართულებით ჯამში 4.3 მლრდ ლარი დაიხარჯება.**

**194 მლნ ლარით იზრდება ადმინისტრაციული ხარჯები, მათ შორის შრომის ანაზღაურების ხარჯი – 91 მლნ ლარით, ხოლო საქონლის და მომსახურების შესყიდვის ხარჯი – 103 მლნ ლარით. 2020 წელს მთლიანი ადმინისტრაციული ხარჯები 2.9 მლრდ ლარი იქნება. 91 მლნ ლარით გაზრდილი შრომის ანაზღაურების ხარჯის 76% სამ უწყებაზე მოდის: შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) სახელფასო ფონდი 30 მლნ ლარით იზრდება, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა – 20 მლნ ლარით, თავდაცვის სამინისტროსი კი – 20 მლნ ლარით. შსს-ს და თავდაცვის სამინისტროების შრომის ანაზღაურების ხარჯი ჯამში 900 მლნ ლარამდეა, რაც ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლის 57%-ია.**

**საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა გაიზრდება.** ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება შსს-ში და თავდაცვის სამინისტროშია. **შსს-ში დასაქმებულთა რაოდენობა 1000 ადამიანით იზრდება, ხოლო თავდაცვის სამინისტროში 1 250-ით მცირდება.** თავდაცვის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება სამეცნიერო კვლევის და სამხედრო მრეწველობის განვითარების პროგრამაში არის დაგეგმილი, თუმცა პროგრამის დაფინანსება უცვლელი რჩება.

**ბექა დანელია**

## „რუსთავის აზოტის" ტერიტორიაზე კონდენსაციური ელექტროსადგური გაიხსნა

**„რუსთავის აზოტის" ტერიტორიაზე კონდენსაციური ელექტროსადგური (კეს) გაიხსნა, რომელიც კომპანია „სიმენსის" ორთქლის ტურბინის გენერატორის უახლესი ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი. ელექტროსადგურის გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს მინისტრი, ასევე „სიმენსის" წარმომადგენლობა.**

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, პროექტი 2018 წლის თებერვალში დაიწყო. ელექტროსადგურის სიმძლავრეა 9,0 მვტ. მათივე ინფორმაციით, კონდენსაციური ელექტროსადგურის ტერიტორიაზე განთავსდება SIEMENS SST-300-ის ერთი ორთქლის კონდენსაციური ტურბინა ნომინალური 9,0 მვტ ელექტროსიმძლავრით. ამასთან, პროექტის საერთო ჯამურმა ბიუჯეტმა 5,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. პროექტი სრულად დაფინანსდა სს „რუსთავის აზოტის" საკუთარი სახსრებით. სამინისტროს ცნობით, ორთქლის ტურბინის გენერატორი ელექტროენერგიას გამოიმუშავებს იმ ორთქლის მეშვეობით, რომელიც აზოტმჟავას საამქროს მიერ ტექნოლოგიურ პროცესში ადგილზევე გამოიყოფა და ამ დრომდე გამოუყენებლად იკარგებოდა. ამასთან, ელექტროსადგური უზრუნველყოფს სს „რუსთავის აზოტის" წარმოებისთვის საჭირო მთლიანი ელექტროენერგიის 20%-ს, რაც უნიკალურ საშუალებას იძლევა, კომპანიამ 20%-ით ნაკლები ელექტროენერგია საბითუმო ბაზარზე შეიძინოს.




## სასამართლომ „რუსთავი-2"-ის 60-პროცენტიანი წილი დააყადაღა

**ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის დამფუძნებლების, ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალის სარჩელი სასამართლომ წარმოებაში მიიღო. ამის შესახებ აქიმიძისა და დვალის ადვოკატი კახა კოჟორიძე სოციალურ ქსელში წერს.**

კახა კოჟორიძემ აქიმიძისა და დვალის სახელით თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი 17 ოქტომბერს შეიტანა. მოსარჩელე მხარე ტელეკომპანიის 60-პროცენტიანი წილის დაბრუნებას ითხოვს.

## პაატა სალია: წილის დაყადაღება არხის მაუწყებლობას ხელს ვერ შეუშლის

**„რუსთავი 2-ის" გენერალური დირექტორი პაატა სალია აცხადებს, რომ ტელევიზიის 60-პროცენტიანი წილის დაყადაღება არხის მაუწყებლობას ხელს ვერ შეუშლის.** პაატა სალიას კომენტარს „რუსთავი-2" ავრცელებს.

**„არხი არ მონაწილეობს სასამართლო დავაში, დაყადაღებული არის უშუალოდ ფიზიკური პირის ქიბარ ხალვაშის კუთვნილი 60 პროცენტი წილი, რაც არხს ფუნქციონირებაში ხელს არ უშლის. შესაბამისად, ამ ეტაპზე ვერ ვხედავ ვერანაირ საფუძველს, რომ კომპანიას რაიმე საფრთხე შეექმნას. პირიქით, უახლოეს პერიოდში „რუსთავი-2" იწყებს ახალ გადაცემებს და სულ მალე ეთერში იქნება ახალი მეგა-შოუ. ქიბარ ხალვაში განაგრძობს ტელევიზიაში ინვესტიციებს",** – აცხადებს პაატა სალია. რაც



შეეხება საქმის სამართლებრივ მხარეს, პაატა სალიას განცხადებით, იურიდიულ შეფასებას სასამართლოს განჩინების შემდეგ გააკეთებს.

**„ქიბარ ხალვაშის პოზიცია არის, რომ ჩვენ ვაპირებთ ჩავიბაროთ განჩინება და შემდეგ უკვე იმ სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ვაპირებთ გადავდგათ სამართლებრივი ნაბიჯები. ეს შეიძლება იყოს გასაჩივრება, ან სხვა საპროცესო მოქმედება, რასაც მოგვიანებით დავაკონკრეტებთ",** – განაცხადა პაატა სალიამ.

## ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშში მოსახლეობა აქციას მართავს

**ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ტვიშში მოსახლეობა აქციას მართავს. ადგილობრივები კომპანია „როიალ ხვანჭკარასგან" 40 ტონა ტვიშის ცოლიკოურის შეძენას ითხოვენ.**

ადგილობრივების თქმით, კომპანია მათთან უნიკალური ჯიშის ყურძენში 5 ლარს იხდის, სხვა სოფლებიდან კი, დაბალი ხარისხის ყურძენს 3-4 ლარად ყიდულობს და ტვიშის სახელით ყიდის. **„რამდენჯერმე კომპანია „როიალ ხვანჭკარას" წარმომადგენლებმა სინჯი აიღეს და გვითხრეს, რომ 14 ტონა ყურძენს იყიდდა. დღეს კი, მხოლოდ 5 ტონის ყიდვას გეგმავს. ყურძენი მწიფეა და მზად არის დასაკრეფად. ვითხოვთ დახმარებას",** – განუცხადა საქართველოს პირველ არხს სოფელ ტვიშის მკვიდრმა მელიტონ ასათიანმა. სოფელში იმყოფება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე. გიორგი გონაძის თქმით, ხელისუფლება ცდილობს, მოაგვაროს მევენახეების პრობლემა. **„მიმდინარეობს მოლაპარაკება ღვინის მწარმოებელ კომპანიებთან, რათა შემოვიდნენ ტვიშის თემში არსებული ყურძნის შესაძენად. მოსახლეობას შორის კონფლიქტი გამოიწვია იმან, რომ ვერ მოხერხდა გადანაწილება, ვის ყურძენს იყიდდა კომპანია",** – განაცხადა გონაძემ.



# გაიტანეთ პარლამენტიდან გრენლანდია!

**საუკუნეებგამოვლილი, უყურადღებოდ მიგდებული, მრავალ ჭირვარამგადატანილი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელიც მოკლებულია, როგორც სახელმწიფოს, ასევე ქართველ ბიზნესმენთა და მეცენატთა ყურადღებას, მაინც ახერხებს და ერთ-ერთ პოპულარულ გაზეთად რჩება ნამდვილ საგაზეთო სიახლეებს მონატრებულ ადამიანებში. ალბათ ამან განაპირობა, რომ შორეულ ბელგიაში გადახვეწილი ქართველი პატრიოტი, თავის გულისტკივილს გამოთქვამს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გზასაცდენილი საქართველოს ბუნდოვან მომავალზე.**

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კოსმოსიდან მიწის ქვეშ ნათლად ჩანს წინარე ცივილიზაციების ნაკვალევი, რაც მკვლევართათვის სრულიად უცნობია. ალბათ ასეა, შორი მანძილიდან, ან დროის გარკვეული პერიოდიდან უფრო კარგად ჩანს კაცობრიობის განვითარების გზები და მეთოდები.

წერილის „ნოეს გზით, თუ ილიას გზით“ ავტორი ომარ ხახაშვილი ბრწყინვალედ აყალიბებს მიზეზებს, თუ რატომ არ ვითარდება ერთ დროს მაღალგანვითარებული ქვეყანა და რატომ არის მიკუთვნებული დღეს განუვითარებელი ქვეყნების რიცხვს. რატომ გვასწავლიან კოლექტიურ მმართველობას, როდესაც მე-12 საუკუნეში ქართველი მეფე დარბაზის საშუალებით მართავდა ქვეყნის საქმეებს. რატომ გვასწავლიან გენდერულ თანასწორობას, როდესაც ქალი იყო ქვეყნის ოქროს ხანის მეფე. რატომ გვასწავლიან ტოლერანტობას, როდესაც 500 მეტრის რადიუსში სხვადასხვა კონფენსიის ხუთი საღვთო კულტი მოქმედებდა საუკუნეების მანძილზე საქართველოში და ასეთი კიდევ უამრავი მაგალითია.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენი პარლამენტი ჩვენვე გვასწავლის ყოველივეს, თითქოს ქართველები კი არა ამერიკის რეზერვაციაში მყოფი რომელიღაც უცხო ტომი ვყოფილიყოთ.

ჩვენი ხელისუფლება 30 წელია, გვიმტკიცებს, რომ შავი თეთრია, თეთრი კი შავი. სწორედ ამაზე მიანიშნებს ომარ ხახაშვილის წერილიც.

**პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ნოე საქართველოს პატრიარქმა ლეონიდემ ეკლესიების ძარცვისთვის სინოდის თანხლებით თავისივე კაბინეტში (ნოეს კაბინეტში) ანათემას გადასცა — ე. ი. ნოეს გზა გზაა ბარაბასი. ილია ჭავჭავაძე კი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და უწოდა მას ილია მართალი, ე.ი. ილიას გზა ქრისტეს გზაა.**

რატომ არ ვითარდება საქართველო? — იმიტომ, რომ ჩვენ 30 წელია, ვადგავართ ნოეს, ე.ი ბარაბას გზას და გადავუხვიეთ ილიას ე.ი ქრისტეს გზიდან. დღევანდელ საქართველოში წმინდა გიორგიმ კი არ განგმირა დრაკონი (დიოკლიტიანე), არამედ დიოკლიტიანემ ბორბალზე დაატრიალა წმინდა გიორგი, — ასე შეიცვალა ეს წმინდა ხატი ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში.

ვინ გახდა ხატის ახლად ხატმწერი? — უპირველესად, ჩემთვის უსაყვარლესი და უპირველესი ქართველი ზვიად გამსახურდია, რომელმაც უდღეურ კონსტიტუციაზე დაამყნო თავისუფლება, ქვეყნის მოპოვებული ძირითადი კანონი, შეცვლილი ხატის კონტურები კიდევ უფრო გააფერადა ედუარდ შევარდნაძემ და იგი, როგორც მოსეს ხატი იუდეველთათვის, პარლამენტში ჩამოგვიკიდა პირჯვარის გადასაწერად და თაყვანსაცემად. რაც შეეხება ქვეყნის მესამე პრეზიდენტს, მან სრული იგნორირება გაუკეთა კონსტიტუციას და თავისი კონსტიტუცია შექმნა, რომელიც არავითარ ფუნქციას არ ასრულებდა, რადგან „მეფე ამბობდა: სახელმწიფო ეს მე ვარ!“ მან ისე გამოიარა პრეზიდენტობის 9 წელი, რომ არც შეუნიშნავს, ვინ ეკიდა კედელზე და ვინ უნდა ეცნო ერის მამად. ის გადაყოლილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად შესწავლას და შოთას არეული სტრიქონებით მოძღვრავდა თავის ერს.

დავუბრუნდეთ ომარ ხახაშვილს და მის ორ გზას: გზას ქრისტესი და გზას ბარაბასი. ბარაბას გზის დასაწყისია საქართველოს დამოუკიდებლობის დღის გამოცხადების მიტინგი და 1918 წლის 26



მაისს ნოეს — ბარაბას მიმართვა ხალხისადმი.

„მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის და იმავე დროს ტრაღიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს. ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია, ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა და, თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა“.

ასე განსაზღვრავდა ცნებებს ტრაგილკულსა და ისტორიულს ქვეყნის პირველი „პრეზიდენტი“ — მთავრობის თავმჯდომარე.

თუ ამას დავუმატებთ ეკატერინე გაბაშვილის ვაჟის — ერთ-ერთი აქტიური მენშევიკის რევაზ გაბაშვილის „მოგონებიდან“ 127-ე გვერდზე გამოქვეყნებულ ნოეს სიტყვას, მაშინ მივხვდებით, რომ საქართველოს რღვევისა და დაქუცმაცების საქმე ადრიდან არის დაწყებული.

**„თბილისი საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და იმის იქით მდებარე ტერიტორია ეკუთვნის სომხებსა და აზერბაიჯანელებს და მხოლოდ დასავლეთი მესამედი — „ვერა“ და აქეთ მდებარე ტერიტორია გვეკუთვნის ქართველებს“.**

**თუ ნოე ჟორდანიას ამ გამოსვლას კიევიდან ბეჭედდასმულ და მენშევიკური ლიდერების ხელდასხმულ რუკასაც დავუმატებთ, სადაც ნოე ჟორდანიას ზემოაღნიშნული სიტყვები რუკაზეც არის აღნიშნული და მიყოლებულია მთელი სამხრეთ საქართველო, დავრწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს არა მოლაყბე და უმაქნის ადამიანებთან, არამედ სახელმწიფო დამნაშავეებთან, რომლებმაც სრულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაკოტრებამდე მიიყვანეს საქართველო. და ეს ყველაფერი ხდებოდა არა იდეათა და აზრთა დაჯახების ფონზე, არამედ პირადი მტრობის საბაბით, რომელსაც შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობა“.**

ბარაბას — ნოეს მარჯვენა ხელმა კარლო ჩხეიძემ ილია ჭავჭავაძის კუბოსთან მთაწმინდაზე შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა:

„ჭეშმარიტებაზე ძლიერ შორს იქნება, თუ ვინმე იტყვის: თითქოს ჩვენ, ყველანი ერთნაირად ვუყურებდეთ შენს წარსულს. ყველანი ერთნაირად ვაფასებდეთ შენს წარსულს, ყველანი ერთნაირად ვაფასებდეთ შენს მოღვაწეობას... დაე, გაქონ და გადიდონ შოვინისტებმა, როგორც მამულიშვილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევურიგდებით ასეთების ქებათა ქებას“.

ეს სიტყვა ქართულმა „მოწინავე“ საზოგადოებამ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე მიიღო. ორმოცი დღის გასვლიდან მეორე დღეს, 9 ოქტომბერს, ნოე ჟორდანია გაზეთ „ჩვენ გზაში“ მართალია, უარყოფდა ილიას მკვლელობასთან კავშირს, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ხალხის განწყობა და ტრაგედიისათვის ნიადაგის მომზადება მხოლოდ სოციალ-დემოკრატების უდიდესი დამსახურება იყო. ალოგიკურ და პოპულისტურ გამოსვლას ამთავრებდა სიმართლესთან სრულიად შეუფერებელი გამოთქმით: **„სადაც ხეები იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა“.**

ვაი, რომ შემდგომში ქვეყანას სათავეში ჩაუდგა კაცი, რომელიც ილიას ნაფოტს ადარებდა, თავისი თავი კი პირველ ქართველად და პირველ პოლიტიკოსად წარმოედგინა.

ილია ჭავჭავაძე საფლავში „ერის მამად“, „წმინდა ილიად“ ან „ილია მართალის“ წოდებით არ ჩაუსვენებიათ. მხოლოდ ვაჟა-ფშაველამ აღიმაღლა ხმა, რომელმაც თავისი ძალუმი ხმით წამოიძახა, რომ საქართველოს მოუკვდა მამა ილია ჭავჭავაძის სახით. ეს ის ვაჟა-ფშაველაა, რომელსაც „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ და თვით ილია ჭავჭავაძემ, მიუხედავად ვაჟას არაერთი მუდარისა, მშიერ-მწყურვალი ცოლ-შვილი შეიძლება ამომიწყდესო, სოფელ თონეთში რიგითი მასწავლებლობაც ვერ შეუნარჩუნეს.

**ილიას მიმართ მენშევიკების მკვეთრმა რეაქციულმა დამოკიდებულებამ 1897 წელს იჩინა თავი, როდესაც მისი დაბადებიდან 60 წლისთავი არ გადაახდევინეს საზოგადოებას. ისე შეაძულეს ხალხს ილიას სახელი, რომ დაბადების წლისთავის აღნიშვნა ვერც 1898 წელს შეძლეს, ხოლო 1903 წელს, სოციალ-დემოკრატების წაქეზებით, ნაძალადევში ბიბლიოთეკის გახსნაზე მისული ილია ჭავჭავაძე ბრბომ კინაღამ ჩაქოლა.**

1914 წელს ერთ-ერთ საჯარო ლექციაზე ასეთი აზრიც კი გამოთქვა მომხსენებელმა: „ილიას ძველი საქართველო დამარცხდა, ის მოკვდა და ალაგი ახალ საქართველოს დაუთმო. ძველ საქართველოსთან ერთად დამარცხდა მისი დაუღალავი იდეოლოგიაც“.

**„ილია დარჩა მარტოდმარტო, უმწეო, უამხანაგო, უკარისკაცო და მარტოდმარტო დაიღუპა“, — ასე შეაფასა დამოუკიდებელი საქართველოსთვის თავდადებული მებრძოლი და გულანთებული პატრიოტი ილია ჭავჭავაძე საქართველოს დამოუკიდებლობის უარმყოფელმა და საქართველოს შავ ბაზარზე გასაყიდად გამომტანმა უდღეურმა მენშევიკურმა მთავრობამ.**

თვალით არ წაიკითხება და ყურით არ მოისმინება ის, რაც „ქვეყნის პრეზიდენტმა“ განაცხადა: — ხალხს ახსოვდა თავისი წინამღოლის ნოე ჟორდანიას სიტყვები: **„ჩვენი წარსული ეროვნული ცხოვრება სირცხვილის, დაგმობისა და უარყოფის გარდა სხვა არაფრის ღირსი არაა“.** (ომარ გოგიაშვილი „ილია დღეს“. გვ. 313)

**გაიტანეთ, გაიტანეთ! გრენლანდია, ეს უსახური სურათი! ის არაფერ ფასეულს, ღირებულს არ წარმოადგენს, გარდა პროვინციალიზმისა და საქართველოს სირცხვილისა! გაიტანეთ პარლამენტიდან გრენლანდია, ვიდრე თავზე არ დაგმხობიათ თიხის ფეხებზე შემდგარი, ყოველგვარ სახელმწიფოებრიობას მოკლებული ბუტაფორიული ქვეყანა! ნოეს გზიდან გადადით ილიას გზაზე, — ბარაბას გზიდან — ქრისტეს გზაზე!**

**გრიგოლ ონიანი.**
(599-29-20-00)



## P.S.

**მკითხველს ბოდიშს ვუხდი ზედმეტი ემოციების გამო, მაგრამ ხალხის აბუჩად აგდება იმდენად მაღიზიანებს, რომ, რიგ შემთხვევაში, ზღვარს გადავდივარ.**

## შოთა ნიშნიანიძის უკვდავება

# მოზარე საქართველოისა

**მიწაზე აღარ მედგომება**
**იცვლება გედის ამინდები.**
**მალე ღრუბელი მომაკითხავს,**
**გამიტაცებს და გავფრინდები.**

იცოდა, რა თქმა უნდა იცოდა, რომ უნდა გაფრენილიყო და მთელი ცხოვრება საამისოდ ემზადებოდა, იცოდა რომ ამ ცოდვილ მიწაზე მცირე ხნით იყო მოვლენილი ქართველთა მამაცი, ამაყი, მშვენიერი ჯიშის გამოსაფხიზლებლად და მალე, სულ მალე უნდა დაბრუნებოდა ზეცას, მისი მარადიული არსებობის სამყოფელს.

იცოდა, ძალიან ბევრი რამ იცოდა, ბევრ რამესაც სხეულით გრძნობდა და მოლოდინი ავი წინათგრძნობისა არ ასვენებდა, სულს უფორიაქებდა, აიძულებდა მნათესავით სულ სამრეკლოზე მდგარიყო და გამუდმებით ერეკა ზარები ჩვენი ცოდვილი, მირიადი მიწიერი პრობლემით დამძიმებული სულების გამოსახსნელად...

შოთა ნიშნიანიძე!

პოეტი და ერისკაცი!!

წინასწარმეტყველი XX საუკუნის საქართველოსი!!!

სუფთა და უბრალო, მართალი ერთან და ბერთან, ერის საკურთხეველთან მუდმივად მლოცველი და მღაღადებელი, ლოცვის, დაფნისა და ლეგენდების ანდამატით გათანგული პილიგრიმი ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნისა.

ვის შეიძლება შევადაროთ შოთა ნიშნიანიძე? იქნებ მიქელანჯელოს „მოსეს", რომელსაც საოცარი ძალის სტრიქონები უძღვნა. ბევრი რამ ჰქონდა მასთან საერთო და იმიტომ. ისიც ხომ ბიბლიის შემქმნელი ერის ბადალი და დარი ხალხის შვილი იყო, ბიბლიური საუკუნეების უდაბნოში მოხეტიალე, გადაღლილი, გადაქანცული ხალხის შვილი, ხელში კვერთხივით რომ ეჭირა ქართული სიტყვა და სადაც კი ამ კვერთხს მოიქნევდა, იქ ღვთაებრივი ნექტრის სურნელი დატრიალდებოდა ხოლმე...

**იქნებ ხარი იყო, უბრალო ხარი წიქარა, იმ ხარების შთამომავალი, რომელთა ქედზეც გადაიარა საქართველოს წარსულმა, სისხლის კალოების საუკუნეებმა, რომელთა რქებსაც მუდამ აჩნდა უწმინდესი სანთლის ნაღვენთი...**

**ანდა სულაც მწყემსი იყო, მხარზე სახრეგადებული მწყემსი, ქართული ცნობიერების სათავეებიდან რომ მოერეკებოდა ჩვენკენ უმშვენიერეს და უნატიფეს რითმებს, მეტაფორებს, შედარებებს, გამაოგნებელ სახეებს, სალბუნად და მალამოდ რომ გვედება და ყოფას გვიადვილებს.**

**ალბათ პირველიც იყო, მეორეც და მესამეც, ერთი კია, რა სახითაც არ უნდა მოგვვლინებოდა, ყოველთვის ეტყობოდა არსთაგამრიგესთან წილნაყარობა, ყოველთვის ასდიოდა მისი მადლისა და მირონის სურნელი.**

პირველი ლექსი მეცხრეკლასელმა ბიჭმა დაწერა და მას შემდეგ მართლაც წიქარასავით ეწეოდა იმ სიმძიმეს და, ამავე დროს, საოცრად შვების მომგვრელ უღელს, მშობელი ქვეყნის თავდადებული და უანგარო სამსახური რომ ჰქვია.

შოთა ნიშნიანიძის მაღალმხატვრულმა, თანამედროვეობის უმძაფრესი განცდებით დამუხტულმა შემოქმედებამ ორგანულად განაგრძო და განავითარა მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეტური სიტყვა, ახალ სიმაღლეებს ეზიარა.

შოთა ნიშნიანიძის პოეზია მკითხველის მუდმივ თანამგზავრად იქცა. ღრმა, ორიგინალური სათქმელის უზადო მხატვრული ფორმით გადმოცემის განსაცვიფრებელმა უნარმა, ვირტუოზულმა სალექსო ტექნიკამ, ფეიერვერკულმა მეტაფორულმა აზროვნებამ იმთავითვე დაუმკვიდრა დიდი პოეტის სახელი... მთელი სამყარო მისთვის უსასრულო ღვთის ტაძარი გახლდათ, ქრისტეს რჯული კი ზარი კეთილი, რომელიც მარადიულად უნდა რეკავდეს, გრგვინავდეს, გუგუნებდეს და გვაფხიზლებდეს, მარადიულად უნდა შეგვახსენებდეს, რომ არ გვაქვს მოდუნების, ჩამუხლვის უფლება, რადგანაც სხვანაირად დრო, სასტიკი და ჩასაფრებული ავაზაკივით დაუნდობელი დრო, დაუფიქრებლად გაგვსრესს და გაგვანადგურებს. არ ჩაგეძინოთ, არ ჩაგთვლიმოთო – მუდმივად ჩაგვძახოდა, გვემუდარებოდა და ჩვენც სასწაულის მომსწრენი გავხდით – თავად იქცა იმ ზარის ალიკვალად, თავად იქცა იმ ზარად და მთელი ცხოვრება მშობელი ქვეყნის გამოფხიზლებას მოანდომა.

მეისტორიეც იყო, ფილოსოფოსიც, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, პოეტი, ნაღდი, ქართულ ცნობიერებას ჩაკირული პოეტი და ალბათ ამიტომაც ნებისმიერ ჟამთააღმწერელსა თუ ფილოსოფოსზე უკეთ გვაგრძნობინებდა დროის მაჯისცემას, თავისი ფიქრიანი, ტკივილიანი სტრიქონებით ადამიანის სულის უღრანებშიც გვახედებდა და იმ ორიენტირებსაც გვისახავდა, საითკენაც უნდა ვისწრაფოდეთ, თუკი გადარჩენა გვინდა, თუკი გვინდა კვლავ ამაყად და სულის შემძვრელად გაისმოდეს „მრავალჟამიერი" და „წინწყარო", „ლილეო" და „ოდოია"...

სანახევრო – ამ სიტყვას ვერ იტანდა, ეჯავრებოდა. იცოდა, სანახევრო არც სიმართლე არსებობს, არც ჭეშმარიტება და არც სიყვარული. იცოდა, რომ ქვეყანას ნახევრად გიჟი დაღუპავდა და არა თხემით ტერფამდე გიჟი. მეტი წინასწარმეტყველება რაღა გინდათ, ბატონებო!

**საქართველო მისთვის უთვისტომო, ობოლი ქვეყანა გახლდათ, რემას ჩამორჩენილი ერთ დროს უმშვენიერესი ბედაური, საუკუნეების მანძილზე ათასი იარა თუ სატკივარი, ათასი დარდი და საფიქრალი რომ გასჩენია. ამიტომაც სტკიოდა ბეთანიასთან ჩამოვარდნილი ანგელოსის მოტეხილი ფრთა. ფაფარივით აწეწილი საუკუნის შფოთი აღელვებდა, შიშობდა, თითქოს სხეულით გრძნობდა სამშობლოს ცაზე შემოჯარულ ტყვიისფერ ღრუბლებს და როცა ზოგიერთი ჩიტირეკია ყინჩად აცხადებს, რა მოხდა ამისთანა, სულ რაღაც ორი რაიონი დავკარგეთო, იმ მიწის თითოეული გოჯი მის გულთან ხილული თუ უხილავი არტერიით იყო მიბმული და შოთა ნიშნიანიძესაც და ყველა სხვა ჭეშმარიტ პატრიოტსაც სისხლით კვებავდა და ამარაგებდა (ორი რაიონი რა ბედენააო და ეს ქვეყანა ხომ სულ ორი რაიონია, სულის ერთი შებერვა). ალბათ ამიტომაც ეგლისებოდა მშობელ მიწას, როგორც გადამსხვრეულ ციხის ხერხემალს, როგორ ეფოფინებოდა, ელოლიავებოდა იმ აზრს, რომ ქართველები საქართველოსთვის კი არ უნდა მოკვდნენ, არამედ საქართველოსთვის უნდა იცოცხლონ, ამისთვის კი ციხე-კოშკების გამაგრებაა საჭირო, უპირველესად კი ჩვენს ხსოვნასა და მახსოვრობაში. დროთა მანძილზე თავად შოთაც დაემსგავსა ციხეს, დიახ, მოსიარულე ციხე იყო, ურიცხვი მომხდურით გარშემორტყმული, მაგრამ მეციხოვნენიც როგორი ჰყავდა იმ სულკურთხეულს – დავითი და თამარი, ცოტნე და თევდორე, პაატა და სამასი არაგველი, სააკაძე და არაბი აბო, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები. ციხიონთა ამ კრებულს მარადისობა ჰქვია. მარადისობის იავარქმნა და მოსპობა კი ვერარა ძალას ძალუძს. ამიტომაც იყო ამაყი და ქედუხრელი, მისი სიდიადის განცდას ისიც აძლიერებდა, რომ სათაყვანებელი სამშობლოს წარსული აბჯრად ჰქონდა ასხმული...**

**გრწყინვალე ლექსები უძღვნა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს, რომელთა შორის „აფხაზური კანტატა" გამოირჩევა. როგორ მოეფერა, როგორ მიესათუთა აფხაზეთს, მკერდმოჭრილ ამორძალს. ეს ლექსი ხომ გვერდში უდგას აკაკის, კონსტანტინე გამსახურდიასა და ლეო ქიაჩელის უკვდავ ქმნილებებს, აფხაზეთისადმი აღვლენილს...**

სილამაზისგან შეშლილი იყო და თავის უმშვენიერეს და უსათნოეს მუზას – ქალბატონ თამარ ჩიჯავაძეს ღრუბლებს ჩუქნიდა, ფერადოვანსა და სიზმარივით საოცარ ღრუბლებს. აკი მისი პირველი წიგნიც „მე და შენ", ისევე როგორც მთელი შემოქმედება შოთა ნიშნიანიძისა, ქალბატონი თამარის სიყვარულითაა გაცისკროვნებული და შთაგონებული. არადა, როგორ გაუმართლა! საპასუხო სიყვარულიც არაფრით არ იყო მისაზე ნაკლები. ქალბატონი თამარიც ხომ სიცოცხლის ბოლომდე მხარში ედგა პოეტს, ფაქტიურად დიდ ბავშვს და არსებობას უადვილებდა ამ ცოდვილ დედამიწაზე. თავად თამარ ჩიჯავაძის წიგნი „შენ და მე" ერთი უმშვენიერესი საგალობელია სიყვარულისა, რომელზეც თაობების აღზრდა შეიძლება...

და მაინც, როდის იყო შოთა ნიშნიანიძე ბედნიერი? როდის და როცა ერთ მისთვის აგრერიგად სასურველ კეთილ ჯადოქარს ხვდებოდა, მარტოობა რომ ერქვა სახელად. როგორ გაილაღებდა ხოლმე მაშინ მისი სული გალუმპული ხილვების თქეშით, როგორ ამსხვრევდა პიროზითობის ბორკილებს და თავის ყველაზე სანუკვარ ზმანებებში გლადიატორივით ებრძოდა უსამართლობას, ავკაცობას, უზნეობას, ებრძოდა და იმარჯვებდა კიდევაც. სწორედ მარტოობის ჟამს სტოვებდა მისი სული სხეულს და შორეულ გალაქტიკებს მიაშურებდა – იქ ციური ბილიკები ეპყრა კვერთხად, ფეხზე ქაოსი ამოეცვა, წელზე კი ქამრად ელვა ჰქონდა შემორტყმული, მიწის სული, ცის ფიქრი ღრუბლად მოებურა და თუ ერთი წამით მაინც წარმოიდგენთ ამ სანახაობას, მიხვდებით, რომ შოთა ნიშნიანიძე სწორედ იმ გალაქტიკების მკვიდრი, იმ გალაქტიკების ბინადარი გახლდათ.

დადგა დრო და შოთა ნიშნიანიძეც მოჭიხვინე რიონივით შეებრძოლა სიბერეს, ბოლომდე იბრძოლა და ბოლოს, როგორც მზე უძღვის ჩალისფერი ქართლის მხედრობას, ისე გაუძღვა თავის სულს მარადისობისაკენ.

ოთხმოცდაათი წლის უნდა გამხდარიყო წლეულს, მარტის თვეში. საქართველო ფეხზე უდგება თავის დიდ პოეტს და უდასტურებს თავის სიყვარულსა და პატივისცემას.

**ზაალ ბოტკოველი**

**დღეს კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო თეატრში (უზნაძის ქ. №68) გაიმართება გამოჩენილი პოეტის და საზოგადო მოღვაწის შოთა ნიშნიანიძის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. დასაწყისი 18 საათზე.**




### აფხაზური კანტატა

ჩემი მორდუ აფხაზეთში იზრდებოდა თარბებთან,
ბადეს შლიდა და შვილდისრით ტყეში ნადირს არბევდა –
ხვიჩას ზრდიდნენ აფხაზები ჩაუქად და რაინდად,
ბეჭზე ორბი შეუფრინეს „ურაიდა-რაიდა"
გადიფრინეს ყრმობის წლებმადა აფხაზურ-მეგრულით
ცხრა ლამაზმა ცხენოსანმა გადმოტოპა ენგური.

რა პატარა ხარ! (ალბათ ცრემლს თუ აღემატები!)
და რამდენ, რამდენ სიმწარეს და სიხარულს იტევ.
მანდ, აფხაზეთში დაგვიგია კაკანათები,
აქ კი საფარში ვუჯექით ჩიტებს.
ძიძიშვილობდნენ წინაპარი სახლიკაცები
და მხარზე ეჯდათ ერთი ჭინკა და ანგელოსი.
ქორი წიწილას აფხაზეთში თუ იტაცებდა,
ჰაუ, ჰაუო, გვიყვირია სამეგრელოში.
ჩვენს მონადირეს აჯავრებდნენ თქვენი ჩხიკვები,
ბევრჯერ ეგ თხებიც ჩვენს ქანჩახებს რქებით ეკიდა
და მორდუ აქეთ თუ როდესმე დააცხიკებდა, –
ხვიჩას სიცოცხლე! – ეძახოდნენ აფხაზეთიდან.
ერთ ცას, ერთ ჰაერს, როგორც უნდა, როდი ვაფასებთ,
ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს.
ხვიჩა რომ მოკლეს ბრანდენბურგთან ორმოცდახუთში,
თურმე აბრსკილის ლექსს მღეროდა, ლექსს სათაყვანოს
შავი ქაღალდი მამამძუძემ მოფშვნიტა მუჭით,
ძიძის კივილმა შეძრა მთელი სამურზაყანო.

ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო,
ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ.
მაგ ტკბილ კალთაში თავს ჩაგიდებ და გავყუჩდები,
ლოცვით, მადლობით, აღსრულებით მითრთის ტუჩები...
ეგ დალალ-კავი, ეგ მანდილი მოიშილიფე,
არ დამემდურო, არ მიწყინო, შენი ჭირიმე,
თუ მორდუსავით ვერ მოგხედე, ვერ მოგიკითხე, –
მუდამ შენთან ვარ, შენკენ მიხმობს ფიქრი დღითიდღე,
შენს კალთას ასდის თაფლის სუნი, ირმის რძის სუნი,
ყრმობის ზღაპარო, მართლა ზღაპრულ სვე-ბედს გისურვებ.

ოდიშში ვარ,
ქორწილში ვარ... ცხენს ვაჭენებ... ჰაიდა...
„ოდოიას" გადმოუხტა „ურაიდა რაიდა"...
ჩანს ანტიკურ არფასავით აივნების რიკული,
ზედ სიმებად ლერწებია და სხივები ცისკრული.
წაიყვანეს თამარ-ქალი აფხაზეთში დიელო და...
მოწამეი ხარ, შენ საქართველო – ერო ფეხბედნიერო და...
ჩანს ოდებზე კოლხთა ღერბი, ღერბი სიმინდ-ჯიქურის
და აფხაზურ ცხენის ნალი ავგაროზად მიკრული.

**2019 წლის 5 ივლისს რომის ცენტრალურ ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკისა და იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თაოსნობით შედგა პრეზენტაცია ჩვენი თანამემამულის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლ’ორიენტალე“ აზიის, აფრიკისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის კათედრის პროფესორის გაგა შურღაიას მონოგრაფიისა:** Vax’tang I Gorgasali re di Kartli. Alle origini del’autocefalia della Chiesa ortodossa di Georgia, Roma: Pontificio Orientale, 2018(Orientalia Chrisiana Analecta, 303) **(ქართლის მეფე, ვახტანგ I გორგასალი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის სათავეებთან, რომი: რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტი, 2018 (ქრისტიანული აღმოსავლეთის კრებული, 303), 706 გვ.). წიგნი იტალიურ ენაზე გამოსცა ქრისტიანული აღმოსავლეთის კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელმა ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა სამეცნიერო ცენტრმა, რომის პაპის აღმოსავლურმა ინსტიტუტმა, სერიალით „ქრისტიანული აღმოსავლეთის კრებული“.**



**გაგა შურღაია დიდი ივანე ჯავახიშვილის გაკვალულ გზას აგრძელებს ევროპაში.**

*მარიამ ლორთქიფანიძე*

# ვახტანგ გორგასალი მარადიულ ქალაქში

პრეზენტაცია გაიხსნა რომის პაპის აღმოსავლურ ეკლესიათა კონგრეგაციის პრეფექტის, კარდინალ **ლეონარდო სანდრის** მისალმებით, რომელიც წაიკითხა ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის *„ლ’ორიენტალე“* აზიის, აფრიკისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის კათედრის გამგემ, პროფესორმა **მიქელე ბერნარდინიმ** (პრეზენტაციას *არ დასწრებია თავად კარდინალი, რადგან იგი ამ დროს იმყოფებოდა უკრაინის გარშემო განვითარებული მოვლენების შესახებ ვატიკანში გამართულ საგანგებო უწყებათაშორის სხდომაზე).*

**„შეუძლებელი იყო, განსაკუთრებული ემოციის გარეშე მიმეღო პროფ. გ. შურღაიას მოწვევა დღევანდელ ღონისძიებაზე არა მარტო იმის გამო, რომ წმინდა მამის სახელით ჩემდამი დაქვემდებარებული უწყება ნაყოფიერად თანამშრომლობს ამ უძველესი ისტორიისა და კულტურის ულამაზეს ხალხთან, არამედ იმ თბილ მოგონებათა გამოც, რომლებიც მაკავშირებს საქართველოსთან, რომელსაც ამ ბოლო დროს ორჯერ ვეწვიე: 2013 წლის ივლისსა და 2016 წლის ზაფხულში, როდესაც რომის პაპს, ფრანცისკეს ვახლდი ამ ქვეყანაში სამოციქულო ვიზიტისას**“, — წერდა თავის მისალმებაში კარდინალი და იხსენებდა რომის პაპის სტუმრობისას სირიელი გოგონას, იმ ეკლესიის შვილის მიერ შესრულებულ გასაოცარ გალობას, „რომელსაც თავისი პირველი საყდარი სელევკია-ქტესიფონში ჰქონდა და რომლის მღვდელმთავარი იყო პირველი, ვისაც „**კათალიკოსი**“ ეწოდა, რასაც დიდი დამაჯერებლობით ასაბუთებს პროფ. გ. შურღაია თავის შესანიშნავ ნაშრომში“.

**„ჩემი მისალმება ამის გახსენებით იმიტომ დავიწყე“,** — დასძენს კარდინალი, **„რომ პროფ. გ. შურღაიას წიგნის გაცნობისას შეუძლებელია, ყურადღება არ მიიპყროს ისტორიულ-ლიტერატურული და კანონიკური წყაროებისა და მათ შესახებ არსებული მეცნიერული თეორიების ანალიზის სიღრმემ და კვლევის სიზუსტემ, რომ არაფერი ვთქვათ ლინგვისტურ სკრუპულოზობაზე, რომელსაც ავლენს მკვლევარი სხვადასხვა ენის მიმართ. თანაც, ყველაფერი ეს ჰარმონიულად ეხამება თხრობის შესაშურ დინამიზმს, რაც უაღრესად საინტერესოს ხდის გამოკვლევას იმ მეცნიერთათვისაც კი, რომელთაც ამ პრობლემებზე არასოდეს უმუშავიათ“.**

პრეზენტაციის მონაწილეებს მიესალმნენ იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი, ქალბატონი **სოფიკო ქარცივაძე** და რომის ცენტრალური ეროვნული ბიბლიოთეკის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარბაზის გამგე, ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის *„ლ’ორიენტალე“* კურსდამთავრებული, **მატეო ვილანი**. სიტყვით გამოვიდნენ გამოჩენილი იტალიელი მეცნიერები: პროფესორი **მიქელე ბერნარდინი**, სახელგანთქმული ქართველოლოგი და სლავისტი, ვენეციის „კა’ ფოსკარის“ უნივერსიტეტის პროფესორი **ლუიჯი მაგაროტო**, ცნობილი ბიზანტინისტი, ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი **ჯორჯო ვესპინიანი** და თვალსაჩინო სლავისტი, ბარის ალდო მოროს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ბარბარა ლომაჯისტრო**.

პროფ. **მიქელე ბერნარდინიმ** საგანგებოდ აღნიშნა მონოგრაფიის დიდი მნიშვნელობა დასავლეთ ევროპაში ქრისტიანული აღმოსავლეთის, კერძოდ, კავკასიური ქრისტიანული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ისტორიის შესწავლისათვის. **„მონოგრაფიის თითოეული გვერდი**“, ხაზი გაუსვა მან, „შეიძლება, ითქვას, **ფაქტობრივად, დამოუკიდებელ ნაშრომს წარმოადგენს**, **ხოლო თავისთავად წიგნი — უნიკალურ ენციკლოპედიას V ს-ის საქართველოს შესახებ**“. პროფესორმა ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ნაშრომი დაისტამბა „უხეში, ყველაფრის გაუბრალოების, ჭეშმარიტი შინაარსისგან დაცლის, გამარტივების ეპოქაში“, როდესაც დასავლეთის ცნობიერებაში „ახლად აღმოჩენილი“ ზოგიერთი ქვეყნის მკვლევრები ცდილობენ, გარეგნულ ეფექტზე გათვლილი, თითქოსდა, შთამბეჭდავი, მაგრამ მეცნიერულად სრულიად დაუსაბუთებელი შეხედულებები შემოგვთავაზონ. პროფ. გ. შურღაიას მონოგრაფია გამორჩეულია იმითაც, რომ საკვლევი პრობლემატიკის გასაშუქებლად გამოყენებულია იმდენი ისტორიული წყარო, რომელთა უბრალოდ ჩამოთვლაც კი ძალიან ძნელია. პროფ. მ. ბერნარდინის აზრით, **გამოკვლევა საინტერესოა რეტროსპექტული თვალსაზრისითაც,** რადგან იგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის V ს-ის აღმოსავლეთ რომის იმპერიასა და სასანიდურ სპარსეთზე, ამ ქვეყნების ისტორიაში უაღრესად კრიტიკულ პერიოდზე. საგულისხმოა, რომ ასეთ რთულ ვითარებაში ქართლის სამეფო ახერხებს, ისარგებლოს მაშინდელ მსოფლიო იმპერიათა შინაგანი სისუსტით და რეგიონში ჭეშმარიტად მთავარ მოქმედ სუბიექტად იქცეს.




**ეს წიგნი უნიკალური ენციკლოპედიაა V საუკუნის საქართველოს შესახებ.**

*მიქელე ბერნარდინი*

დასასრულ, პროფ. მ. ბერნარდინიმ აღნიშნა, რომ შარშან ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა დაარსდა, რაც **„ნამდვილ რევოლუციურ, ხარისხობრივ ნახტომს წარმოადგენს ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში. „ლ’ორიენტალეს“, ფაქტობრივად, დაკარგული ჰქონდა კავკასიოლოგიური ცენტრის წამყვანი პოზიციები და პროფ. გ. შურღაიას მოწვევით უნივერსიტეტმა დაიბრუნა ადრინდელი ტრადიციები, თანაც — არა მოჩვენებითი პომპეზურობით, არამედ გამიზნულად, ფართო მეცნიერული თვალთახედვით და მიზანდასახულობით. მადლობა მინდა, ვუთხრა ჩვენს კოლეგას ფუნდამენტური ნაშრომის შექმნისათვის, განსაკუთრებით კი იმისათვის, რომ ნეაპოლის უნივერსიტეტის აკადემიურ კოლექტივს შემოგვიერთდა“.**

**პროფ. ლუიჯი მაგაროტომ დამსწრე საზოგადოებას მოკლედ გააცნო V ს-ის კავკასიის ისტორიულ-პოლიტიკური ვითარება და საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ გამოკვლევაში სიღრმისეულადაა გაანალიზებული საკვლევი საკითხის შესახებ არსებული ქართული, ბერძნული, ლათინური, სირიული და სომხური ისტორიული და კანონიკური პირველწყაროები. საყურადღებოა, რომ წყაროები შესწავლილია არა მათი თარგმანების, არამედ უშუალოდ ორიგინალების საფუძველზე. ამას გარდა, ავტორი კრიტიკულად განიხილავს საკვლევი საკითხის გარშემო არსებულ აბსოლუტურად ყველა სამეცნიერო ნაშრომს. ყოველივე ეს მონოგრაფიას უაღრესად სერიოზული, დოკუმენტირებული, კომპლექსური გამოკვლევის სახეს აძლევს, რაც მეცნიერისგან არაჩვეულებრივ მომზადებას მოითხოვს ლინგვისტური თვალსაზრისითაც, რადგანაც ყველა წყარო უშუალოდ ორიგინალშია შესწავლილი და გააზრებული. წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა და სოლიდური ფილოლოგიური და ისტორიული მეთოდიკის მომარჯვება ავტორს საშუალებას აძლევს, ფართო ევრაზიულ კონტექსტში მოიაზროს V ს-ის ქართლის სამეფოს პოლიტიკური და საეკლესიო ისტორია, ღრმად ჩასწვდეს მოვლენების არსს და სრულიად ახლებურად გადაჭრას არა მხოლოდ იმდროინდელი საქართველოს, არამედ აღმოსავლეთ რომის იმპერიის პოლიტიკური და საეკლესიო ისტორიის დღემდე ბურუსით მოცული უამრავი პრობლემა**.

რაც შეეხება უშუალოდ ქართლის მეფის მიერ განხორციელებულ საეკლესიო რეფორმას, პროფ. ლ. მაგაროტოს აზრით, ნაშრომში დამაჯერებლადაა გაშუქებული ამ საკითხთან დაკავშირებული დღემდე ბუნდოვანი ყველა პრობლემა: 1. ქართლის მეფესა და ქართლის ეპისკოპოსს, მიქაელს შორის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი, 2. კონფლიქტის წარმოშობისა და რეფორმის განხორციელების თარიღი, 3. რეფორმის საეკლესიო-იურიდიული შედეგები. კერძოდ, დასაბუთებულია, რომ რეფორმას წინ უძღოდა საალმსარებლო ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტი მონოფიზიტური ორიენტაციის ვახტანგსა და ქალკედონისტ მიქაელს შორის. აგრეთვე, გარკვეულია, რომ რეფორმა განხორციელდა 475 წლის აპრილსა და 476 წლის თებერვალ-მარტს შორის პერიოდში, რაც ქართლის ეკლესიის არსებითი სტრუქტურული რეორგანიზაციითა და ავტოკეფალიის მოპოვებით დაგვირგვინდა, ხოლო ეკლესიას სათავეში ჩაუდგა კათალიკოსი — რომის იმპერიის პოლიტიკურ საზღვრებს გარეთ არსებული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკლესიის სუვერენი საჭეთმპყრობელი.

პროფ. **ჯორჯო ვესპინიანიმ** საგანგებოდ გაიხსენა წიგნის ავტორთან მრავალწლიანი მეგობრობა და მეცნიერული თანამშრომლობა. „ბოლონიის უნივერსიტეტს ჰქონდა პატივი, გაგა შურღაია სპეცკურსების წასაკითხად მოეწვია. მაშინ ორივეს ბიჭუნებს გვეძახდნენ, ამასობაში კი, თურმე, რამხელა დრო გასულა“, აღნიშნა და შემდგომ მიმოიხილა ბიზანტიის იმპერიის ისტორიის შესახებ დასავლეთში არსებული უმთავრესი სამეცნიერო ნაშრომები, სადაც ქართული კულტურის შესახებ არ მოიპოვება სრული და ადეკვატური ინფორმაცია, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება, კანტიკუნტად მხოლოდ უსისტემო ცნობებს წააწყდე. თვით არნოლდ ტოინბის სამაგიდო წიგნშიც კი „კონსტანტინე პორფიროგენიტი და მისი სამყარო“ (1973) კავკასიისადმი მიძღვნილ თავში ნახსენებიც კი არაა საქართველო. სამაგიეროდ, ქართველთა მიმართ ერთგვარი ინტერესი იგრძნობა ედუარდ ლუტვაკის წიგნში „ბიზანტიის იმპერიის დიდი სტრატეგია“ (2009).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თემა არ ფიგურირებს არც ისეთ ნაშრომებშიც კი, რომლებიც სპეციალურად ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე და მის საზღვრებთან ახლოს სლავურ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების საკითხებს ეძღვნება. „აღმოსავლეთ რომის იმპერიისა და ქართული სამეფოს ურთიერთობის მაგალითი გვარწმუნებს, რაოდენ რთულია, გავცდეთ ყველაზე სკეპტიკოსი თანამედროვის თვალით დანახული მოვლენების შეზღუდული პერსპექტივის ჩარჩოებს“, აღნიშნა პროფ. ჯ. ვესპინიანიმ, რომლის აზრით, თვისებრივად ახალ სიტყვას წარმოადგენდა ქალაქ სპოლეტოს გვიანი შუა საუკუნეების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 1995 წ-ს გამართული 43-ე საერთაშორისო კვირეული „კავკასია ბიზანტიისა და სპარსეთის კულტურებს შორის (IV-XI სს.)“, სადაც ბიზანტიის იმპერიისათვის კავკასიის პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობის შესახებ საჯარო ლექცია წაიკითხა ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორმა **ანტონიო კარილემ**. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ პროფ. ა. კარილეს წინათქმით იწყება გ. შურღაიას მონოგრაფია, სადაც შვიდასზე მეტგვერდიან გამოკვლევაში გაანალიზებულია ქართლის სამეფოს მე-

ტად რთულ ვითარებაში ჩამოყალიბების პროცესი, რომლის ორგანული შემადგენელი ნაწილი ხდება ეროვნული ავტოკეფალიური ეკლესიის დაარსება. V ს-ის მეორე ნახევრის ქართლის სამეფო გააზრებულად იკავებს საერთაშორისო არენაზე ორი დიდი მრავალეროვანი და უნივერსალური სახელმწიფოს — აღმოსავლეთ რომის იმპერიისა და სასანიდური სპარსეთის — დასუსტებით გამოთავისუფლებულ ადგილს.

პროფ. ჯ. ვესპინიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მონოგრაფია შედეგია შეუპოვარი სკრუპულოზობითა და სამაგალითო სიზუსტით შესრულებული მეცნიერული კვლევისა. იგი **მყარ ფუნდამენტურ საფუძველს უყრის ქართული შუასაუკუნოვანი კულტურის შესწავლას**. არის თანმიმდევრული, სრული და იმანენტური და შეზღუდული არ არის „წინასწარ შემუშავებული შეფასებებით“ (ბ. ლომაჯისტრო) და არც — თანამედროვეობის რეტროსპექტული ინტერესებით. არც ისაა შემთხვევითი, რომ წიგნი გამოაქვეყნა რომის პაპის აღმოსავლურმა ინსტიტუტმა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე აკადემიური და უკანასკნელი ავანპოსტია ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და, საზოგადოდ, ევრაზიული კულტურების კვლევისა. გაგას ნაშრომით სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი მასალები (უწინარესად, ქართული, ბიზანტიური და სხვა ენობრივ-კულტურული წყაროები) წარმოადგენს იმ მემკვიდრეობას, რომელსაც გ. შურღაია მომავალ მეცნიერებს უტოვებს.

პროფ. **ბარბარა ლომაჯისტრომ** აღნიშნა, რომ საშუალება ჰქონდა, მონოგრაფიაში დასმულ საკითხებზე ავტორთან ესაუბრა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ნაშრომი იწერებოდა. მისი აზრით, წიგნში განხილული ძირითადი პრობლემების შესწავლამ **საფუძველი შეურყია საკვლევი თემატიკის ისტორიოგრაფიის მითოლოგიურ საფუძვლებს და დიდი გამოცდის წინაშე დააყენა ის თეორიები, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ურყევ აქსიომებად მიიჩნეოდა. საეჭვო გახადა ისტორიული წყაროების იმდაგვარი წაკითხვაც, რომლებიც სტერეოტიპებად ჩამოყალიბდა როგორც ამ წყაროების გამომზეურებისას, ისე — მათ სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანისას**. ის, რომ ვახტანგის პიროვნების შესახებაც ძალიან ცოტა რამ, ან სულაც არაფერი ვიცით, თავისთავად ართულებს კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში მის სრულფასოვან წარმოსახვას. ამას გარდა, ის, რაც ვიცით, ისტორიოგრაფიაში თანდათანობით სტერეოტიპად იქცევა: თითქოს, ყველა შემთხვევაში ფატალურად და გარდაუვლად ასეც უნდა მომხდარიყო. ვახტანგი ჯერ კიდევ უსუსური (შვიდი წლისა) ადის ტახტზე, როდესაც როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ უკიდურესად რთული პოლიტიკური ვითარებაა.

> **„ერთხელ ვისაუბრეთ ვახტანგის დის მირანდუხტის ოვსთა მიერ გატაცებაზე“, გაიხსენა პროფ. ბ. ლომაჯისტრომ, „და მივხვდით, რამდენი რამ შეიძლება იმალებოდეს ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ლიტერატურული ტროპის მიღმა“. შემდეგ დასძინა: „ასე წარმოისახება ვახტანგის პიროვნება — ერთი მხრივ, უაღრესად შთამბეჭდავი, ხოლო, მეორე მხრივ, უჩინარი. იგი ქმნის სახელმწიფოს, რომელსაც რეგიონში ანგარიშს უწევენ, აფუძნებს თავისი სამეფოს ქრისტიანული ეკლესიის ავტოკეფალიას“.**

პროფ. ბ. ლომაჯისტრო საგანგებოდ შეჩერდა ავტოკეფალიის პრობლემატიკაზე, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და ასეთადაც რჩება ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიაში. ავტოკეფალიის ფენომენი ძალაუნებურად წამოჭრის საკითხს იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს კონკრეტული რელიგიური საზოგადოების ეთნიკური კუთვნილება საკუთარი სოციალური თვითმყოფობის ჩამოყალიბებაში, განურჩევლად იმისა, რამდენად მრავალრიცხოვანია და როგორი პოლიტიკური სტატუსის მქონეა. გარდა ამისა, შეიძლება, მოვიპოვოთ ავტოკეფალია არამართლმადიდებელი მღვდელმთავრის ან მონარქის მეშვეობით?

**„მონოგრაფიაში ქვეტექსტით დასმულ ამ კითხვებს საუკუნეების შემდეგ მივყავართ სლავებთან, რომლებიც ცენტრალურ ევროპაში დამკვიდრდნენ და ქრისტიან ხალხთა ოჯახში გაერთიანდნენ“,** — აღნიშნა პროფ. ბ. ლომაჯისტრომ და დასძინა, — **„ეკლესია, რომელიც ავტოკეფალიის მოპოვებას ცდილობდა, უწინარესად, ხორცსასხამდა დიდ სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ჩანაფიქრს. ცხადია, სხვადასხვა ისტორიულ პირობებში ვითარება იცვლებოდა, მაგრამ გაგამ დამაჯერებლად ამიხსნა ავტოკეფალიაზე კანონიკური უფლების მოპოვების პოლიტიკური და კანონიკური ასპექტების სირთულე, რომლებსაც არასპეციალისტები არასათანადოდ აფასებენ: რას ნიშნავს თავისთავად ავტოკეფალია, როგორ შეიძლება მისი მოპოვება, ვის აქვს მისი მინიჭებისა და მიღების უფლება, რა ფორმით ხდება ყოველივე ეს?“**

**„ამ პრობლემებზე მსჯელობამ საშუალება მოგვცა, უშუალოდ, თითქოს, ხელით შევხებოდით დღეს ამ უმწვავესად აქტუალურად ქცეულ თემას და გვეღიარებინა ის, რაც პრობლემის თავიდათავია: ისტორიკოსთა უმეტესობა ერთგვარად ზედაპირულად მსჯელობს ამ რთულ საკითხებზე და უამრავ პრობლემატურ საკითხს აქსიომად წარმოგვისახავს. სინამდვილეში კი საკითხი უაღრესად რთულია. თუ ეკლესიაში იურისდიქციის განაწილების შესახებ უძველესი ეკლესიის კანონებს მივმართავთ, ვნახავთ, რომ მიხვეულ-მოხვეული ქმედებისათვის ძალიან ცოტა ადგილი რჩება მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა კონკრეტული ხუთსაყდრიანი უძველესი ეკლესია (მოგვიანებით, რომის იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565) 546 წ-ის პირველი მაისის №123,3 ნოველის, ანუ ახალი კანონის ძალით ეს საყდრები საპატრიარქოებად გარდაიქმნენ). ასეთ ვითარებაში ავტოკეფალია, შეიძლებოდა, მინიჭებოდა ეკლესიას მხოლოდ მთელი ქრისტიანული ოიკუმენეს, ანდა მისი უშუალო დედაეკლესიის გადაწყვეტილებით, თუ მომწიფებული იქნებოდა პირობები იურისდიქციული იერარქიული დამოკიდებულებისაგან შვილობილი ეკლესიის გასათავისუფლებლად. მაგრამ ასე შეიძლება, მხოლოდ იდეალურ სამყაროში მოხდეს. ისტორიკოსის ამოცანაა, ობიექტურად დაადგინოს და შეაფასოს ის, რაც რეალურად მოხდა, რის შესანიშნავ მაგალითსაც გვიჩვენებს დღეს ჩვენს ხელთ არსებული მონოგრაფია“.**


ვახტანგ გორგასალი
გიორგი გეგეჭკორის ნახატი

დასასრულს, საზოგადოებას სიტყვით მიმართა წიგნის ავტორმა, პროფ. გ. შურღაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ვახტანგ გორგასლის მიერ განხორციელებულმა ფუნდამენტურმა საეკლესიო რეფორმამ, კერძოდ, საქართველოს საკათალიკოსოს დაფუძნებამ არა მარტო განსაზღვრა საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის განვითარების მაგისტრალური გზა, არამედ წარუშლელი გავლენა მოახდინა ქვეყნის შემდგომ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაზე.

გ. შურღაიამ დიდი მადლიერებით მოიხსენია ისინი, რომლებმაც შთააგონეს მას და ხელი შეუწყვეს ამ დიდი პრობლემის კვლევაში. კერძოდ, გულთბილად მოიგონა მან რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის საეკლესიო ისტორიის კათედრის პროფესორი, ჟურნალ „Orientalia Christiana Periodica“-ს („აღმოსავლური ქრისტიანული ჟურნალი“) მაშინდელი მთავარი რედაქტორი, აწ განსვენებული **ვინჩენცო პოჯი**, რომელმაც 1997 წლის გაზაფხულს თავისი ლექციების კურსიდან „მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიები ახლო აღმოსავლეთში“ გარკვეული საათები დაუთმო მას საქართველოს ეკლესიის ისტორიაზე ლექციების წასაკითხად. ასე ჩაატარა მან 20-დან 22 მაისამდე სამი ლექცია, რაც დასავლეთში მის მიერ წაკითხული პირველი ლექციები იყო. ამიტომაც სულაც არ არის გასაკვირი, რომ მონოგრაფია პროფ. ვინჩენცო პოჯის ნათელ ხსოვნას ეძღვნება. ავტორმა განსაკუთრებით თბილი სიტყვებით გაიხსენა დიდი იტალიელი ირანისტი და იტალიური ენის ცნობილი პურისტი, ვენეციის „კა’ ფოსკარის“ უნივერსიტეტის პროფესორი, აწ განსვენებული **ჯანრობერტო სკარჩია**, რომელიც თავის დროზე ხელნაწერში გაეცნო მონოგრაფიის უდიდეს ნაწილს, ამასთან, მოიგონა მასთან გამართული კამათი ვახტანგ გორგასლის სახელის ეტიმოლოგიაზე.

გაიხსენა ისიც, წიგნის საპრეზენტაციო ჩანაფიქრი, კონცეპტუალური მოსაზრებები და დებულებები 2010 წლის 29 ნოემბერს როგორ მოახსენა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებასთან არსებული ქართული ლიტერატურის კომისიის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო სემინარს, რომელსაც უძღვებოდა აკადემიკოსი **ელგუჯა ხინთიბიძე**. სემინარს ესწრებოდნენ **რისმაგ გორდეზიანი, მარიამ ლორთქიფანიძე, რევაზ სირაძე, გურამ თევზაძე, ლაურა გრიგოლაშვილი, მანანა გაბაშვილი** და სხვა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები, რომლებმაც მოიწონეს ახალგაზრდა მკვლევრის მიერ ჩაფიქრებული მომავალი ნაშრომის წინასწარი მონახაზები, ხოლო აწ განსვენებულმა აკადემიკოსმა **მარიამ ლორთქიფანიძემ** მისთვის ჩვეული შესაშური გულუხვობითა და სულგრძელობით განაცხადა, **გაგა დიდი ივანე ჯავახიშვილის გაკვალულ გზას აგრძელებს ევროპაშიო**.

დაბოლოს, ავტორმა მადლობა გადაუხადა სიტყვით გამომსვლელებს გამოთქმული შეფასებებისა და შენიშვნებისთვის, რაც რიგი საკითხების დაზუსტებისა და საკვლევ პრობლემებზე შემდგომი მუშაობის საფუძველი გახდება. მადლობა გადაუხადა, აგრეთვე, დამსწრე საზოგადოებას, კოლეგებსა და მეგობრებს, რომლებიც არ შეუშინდნენ რომაული ზაფხულის ხვატს და შეხვედრაზე მოვიდნენ.

მადლობა იტალიას, მის კეთილშობილ ხალხს, რომელიც მუდამ მზად არის, პატივისცემითა და გულწრფელი ინტერესით შეიცნოს განსხვავებულობა და **დიალოგი ხალხთა დაახლოებისა და საკაცობრიო კულტურის გამდიდრების საშუალებად აქციოს**.

**სოსო დანელია,**

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური ინსტიტუტის მკვლევარი, მე-8 მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი, იტალიასა და ვატიკანში საქართველოს საელჩოების ყოფილი დესპანი**

> შემთხვევითი არაა, რომ სწორედ პროფ. ა. კარილეს წინათქმით იწყება გ. შურღაიას მონოგრაფია, სადაც შვიდასზე მეტგვერდიან გამოკვლევაში გაანალიზებულია ქართლის სამეფოს მეტად რთულ ვითარებაში ჩამოყალიბების პროცესი, რომლის ორგანული შემადგენელი ნაწილი ხდება ეროვნული ავტოკეფალიური ეკლესიის დაარსება. V ს-ის მეორე ნახევრის ქართლის სამეფო გააზრებულად იკავებს საერთაშორისო არენაზე ორი დიდი მრავალეროვანი და უნივერსალური სახელმწიფოს — აღმოსავლეთ რომის იმპერიისა და სასანიდური სპარსეთის — დასუსტებით გამოთავისუფლებულ ადგილს.

# ებრაული კულტურის ევროპული დღე თბილისში

**თბილისში, სასტუმრო „ვინდამ გრანდში“ (ლ. გუდიაშვილის 3) გაიმართა ებრაული კულტურის ევროპული დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ორგანიზატორია „ისრაელის სახლი“.**

მესამე წელია, „ისრაელის სახლი“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარდგინებით კურირებს საქართველოში ებრაული კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტს. მარშრუტი სერტიფიცირებულია ევროსაბჭოსთან არსებული ებრაული კულტურისა და მემკვიდრეობის დაცვისა და ხელშეწყობის ევროპული ასოციაციის (AEPJ) მიერ.

21 ოქტომბრისთვის დაგეგმილ საღამოზე მიწვეულნი იყვნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილი, პარლამენტარები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, საქართველოში ევროსაბჭოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ქრისტიან ურსე, საქართველოში ებრაული დიასპორის, კულტურისა და ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები. სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის თბილისს ისრაელიდან ეწვივნენ ოფიციალური 30-კაციანი დელეგაცია საპარლამენტო პარტია „ავოდას“ თავმჯდომარის ამირ ფერეცის ხელძღვანელობით და გავლენიანი გამოცემა „იედიოთ ახრონოთის“ ჟურნალისტი.

ებრაული კულტურის ევროპული დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა გოგა ჩანადირის ნამუშევრების - საქართველოში ებრაული კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ფოტოგამოფენა. ფოტოხელოვანმა საქართველოში ებრაული კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ფოტოები „ისრაელის სახლის“ დაკვეთით გადაიღო.

„ისრაელის სახლის“ ხელმძღვანელის იციკ მოშეს თქმით, წელს ებრაული კულტურის ევროპული დღეები საიუბილეოა. ის ევროსაბჭოსთან არსებული ებრაული კულტურისა და მემკვიდრეობის დაცვისა და ხელშეწყობის ევროპული ასოციაციის (AEPJ) ეგიდით უკვე მეოცე წელია, აღინიშნება. საქართველოში კი ევროსაბჭოს მიერ სერტიფიცირებულ ებრაული კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტს კულტურის სამინისტროს წარდგინებით „ისრაელის სახლი“ კურირებს. **„მარშრუტი არის ეფექტიანი ინსტრუმენტი საქართველოსთვის ისრაელსა და მსოფლიო ებრაელობასთან ურთიერთობაში. საქართველოში ტურიზმის მხარდაჭერის კამპანიის ფარგლებში, ებრაული კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტით მსოფლიო ებრაელობიდან დაიწყო მაღალბიუჯეტიანი ტურისტების მოზიდვა, რომელთა რაოდენობაც, გვჯერა, კიდევ უფრო გაიზრდება“,** — განაცხადა იციკ მოშემ.

მისივე თქმით, ეს წელი საიუბილეოა საქართველო-მსოფლიო ებრაელობის ურთიერთობაშიც — ზუსტად 30 წლის წინ, საბჭოთა კავშირში მსოფლიო ებრაული სააგენტოს ხელმძღვანელის რანგში. მან ორგანიზება გაუკეთა მსოფლიო ებრაელობის ლიდერების ვიზიტს საქართველოში, რომელიც შემდეგ აქტიურად გაგრძელდა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც.



# მაინც რამდენი კაცი შიმშილობს?!

## „შიმშილობის მსოფლიო ინდექსი 2019“-ში საქართველოს მონაცემი გაუარესებულია!



**„შიმშილობის მსოფლიო ინდექსი 2019-ის“ თანახმად, საქართველო 117 ქვეყანას შორის, 39-ე ადგილზეა. ეს არის მე-14 ყოველწლიური ანგარიში, რომელსაც ერთობლივად ამზადებენ ორგანიზაციები Concern Worldwide და Welthungerhilfe.**

„ანგარიშს სანდოობის ხარისხი არ აქვს, ეს არ არის ორიგინალურ კვლევაზე დაფუძნებული ინდექსი, ეს არის გარკვეული ინდიკატორების კომბინაციის შედეგად მიღებული ინდექსი“, – ასე აფასებს „შიმშილობის მსოფლიო ინდექს 2019“-ს **პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე.** დეპუტატი მიიჩნევს, რომ ანგარიში ქვეყანაში არსებულ სურათს რეალურად არ ასახავს.

**„ტენდენციები შეიძლება საინტერესო იყოს, თუმცა, საჭიროა დეტალური ანალიზი, თუ რაზეა საუბარი კვლევაში. ანგარიში ცალკეული ინდიკატორების კუთხით უფრო საინტერესოა, ვიდრე როგორც ინდექსი, რადგან არ არის დაყრდნობილი ერთიან მეთოდოლოგიაზე, რომელიც ტარდება ყველა ქვეყანაში ერთდროულად. სწორედ ამიტომ ანგარიში არ გვაძლევს იმის საშუალებას, დავადგინოთ, არის თუ არა რეალობასთან ახლოს“, –** განმარტავს აკაკი ზოიძე.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ 2019 წელს 2018 წელთან შედარებით საქართველოს მონაცემი გაუარესებულია. „შიმშილობის მსოფლიო ინდექსი 2018“-ში საქართველოს 30-ე ადგილი ეჭირა. მმართველი გუნდის წევრისთვის გაუგებარია, რამ გამოიწვია ქვეყნის ინდექსის გაუარესება. „კომერსანტთან“ საუბარში აკაკი ზოიძე საერთაშორისო ორგანიზაციების Concern Worldwide და Welthungerhilfe დაბალ რეპუტაციაზე ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ მათ ანგარიშს საერთაშორისო დონეზე არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

**„ალბათ 2017 წლის UNICEF-ის მონაცემი გაითვალისწინეს, რომელიც იყო ბავშვთა სიღარიბესთან მიმართებაში. ვერ გეტყვით, რატომ შეიცვალა სურათი, ეს გასაანალიზებელია, მაგრამ თვითონ ინდექსი არ არის სარწმუნო და არ გაძლევს რეალურ წარმოდგენას არც ტენდენციებზე და არც ქვეყნებს შორის შედარებაზე. ზოგადად, 30-ე ადგილზე იქნები,39-ზე თუ 50-ზე დიდად არ განსხვავდება, რადგან სხვადასხვა კვლევების მონაცემები აქვთ გამოყენებული.**

**როგორც წესი, ორგანიზაცია იყენებს უახლეს მონაცემებს, რომელიც შეიძლება იყოს 2010 წლის, ეს არ ნიშნავს რომ 2010 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები აკურატულად ასახავს 2019 წლის მონაცემებს. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ ექვსი ინდიკატორისთვის, რომელზეც დაფუძნებულია ანგარიში, ზოგიერთი ქვეყნისთვის გამოყენებულია 2005 წლის მონაცემი, ხოლო ზოგიერთისთვის 2013 წლის მონაცემი. ამიტომ არა აქვს ერთმანეთთან შედარებას აზრი, ამიტომ არ იყენებს არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ამ კონკრეტულ ინდექსს იმისათვის, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღონ“, –** განაცხადა აკაკი ზოიძემ.

**ანგარიშის სანდოობასთან დაკავშირებით კითხვები არა აქვს ეკონომიკის ექსპერტს ზვიად ხორგუაშვილს.** მისი თქმით, ანგარიშში ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მგდომარეობაა ასახული. ხორგუაშვილის განმარტებით საქართველოში სერიოზული პრობლემებია სიღარიბის მხრივ, მათ შორის, აბსოლუტური და ფარდობითი სიღარიბის მხრივ.

**„კვლევა, რა თქმა უნდა, სანდოა, მაგრამ მეთოდოლოგიაში არის ერთი ნაწილი, რომელიც რაღაც მონაცემებს არაზუსტად გვიჩვენებს. კერძოდ, ინდექსში შესულია გლობალური დათბობის შესახებ კონკრეტული ცვლადები, ასევე შესულია ცვლადები გამონაბოლქვზე და ა.შ. მთავარი პრობლემა არის ის, რომ საქართველო ამ ანგარიშში ხვდება. ეს პირდაპირ აღნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში ცუდი მდგომარეობაა შექმნილი. განვითარებული ქვეყნები ამ ინდექსში საერთოდ არ შეჰყავთ იქიდან გამომდინარე, რომ მათ ეს პრობლემა არა აქვთ“, –** აცხადებს **ზვიად ხორგუაშვილი.**

ეკონომიკის ექსპერტის განმარტებით საქართველოში შექმნილ რთულ მდგომარეობას საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების გარდა სახელმწიფო ინსტიტუტების კვლევებიც ადასტურებენ.

**„საქსტატის მონაცემები, სებ-ის მონაცემები, ფინანსთა სამინისტროს მონაცემები ადასტურებს იმას, რომ საქართველოში სერიოზული პრობლემებია შიმშილობის და გაჭირვების კუთხით. რეალობას ასევე კარგად ასახავდა UNICEF-ის კვლევა, რომელიც გაუგებარია, წელს რატომ არ ქვეყნდება. ეს კითხვებს აჩენს. წინა მონაცემებით გაირკვა, რომ 100-დან 6 ბავშვი შიმშილობს, ამ კვლევის გამო ქვეყანაში პრემიერი მოხსნეს და მთავრობა შეიცვალა. შეიძლება Concern Worldwide და Welthungerhilfe არ ენდობოდნენ, მაგრამ თავიანთ სტატისტიკას ხომ ენდობიან. მაგალითად, ინფლაცია რომ მიზნობრივზე ორჯერ მეტია. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ამ კვლევას არ ენდობიან, არასწორია. მთავრობის პოზიცია ყოველთვის არის ის, რომ რაც არ მოსწონთ, იმას უნდობლობას უცხადებენ. ამის კარგი მაგალითია საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაცია NDI. მმართველი გუნდის წევრებს NDI რიცხვების მოშველიება რაღაც ნაწილში აწყობთ, რაღაც ნაწილში არ აწყობთ ხოლმე, ეს ორმაგი სტანდარტის კარგი მაგალითია“, –** განმარტავს ზვიად ხორგუაშვილი.

ექსპერტი კომერსანტთან საუბარში ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ რეგიონის ქვეყნებს შორის, საქართველოში შიმშილობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია.

**„შიმშილობის მსოფლიო ინდექსის“ მიზანია, ფართო მასშტაბით გამოიკვლიოს შიმშილობის პრობლემები გლობალურ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე. ინდექსის მიზანია, გაზარდოს შიმშილობასთან დაკავშირებული პრობლემებისადმი ყურადღება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც შიმშილობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.**

**ინდექსში მოცემულია ინფორმაცია 117 ქვეყნის შესახებ. „შიმშილობის მსოფლიო ინდექსი 2019“-ის თანახმად, 2000 წლის შემდეგ ამ ქვეყნებში შიმშილობის მაჩვენებლები და ტენდენციები პროგრესისკენ მიუთითებს. მაგრამ, ანგარიშის ავტორების თქმით, მსოფლიოს ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი შიმშილის ნულოვანი დონის მისაღწევად 2030 წლისთვის, როგორც ამაზე მსოფლიო ლიდერები არიან შეთანხმებული. ინდექსის თანახმად, 47 ქვეყანაში შიმშილობის დონე „სერიოზული“ ან „საგანგაშოა“. ერთ ქვეყანაში — ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში — ვითარება „უკიდურესად საგანგაშოაა“.**

**ბაჩო ადამია**



## ლიბანში მინისტრებს ხელფასებს გაუნახევრებენ

ლიბანში საპროტესტო აქციების გამო მინისტრებს ხელფასებს გაუნახევრებენ. ინფორმაციას საააგენტო „როიტერი“ ავრცელებს. მთავრობის მიერ შემუშავებული რეფორმების პაკეტი ასევე ითვალისწინებს მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტის ხელფასის განახევრებას. 50 პროცენტით შეუმცირდებათ ხელფასები მინისტრებსა და დეპუტატებს. ასევე, გაუქმდება სახელმწიფო სამსახურებში დასაქმებულთა შეღავათებიც.

ამავე დროს, ლიბანის ეროვნული ბანკი და კერძო ბანკები ბიუჯეტში 3,3 მილიარდ დოლარს ჩარიცხავენ, რათა 2020 წლის ბიუჯეტის დეფიციტი 0-ს მიუახლოვდეს. მთავრობა ასევე აპირებს საკომუნიკაციო და ელექტროენერგიის სექტორში პროვატიზაციას.

შეგახსნებთ, რომ ლიბანში საპროტესტო აქციები მეხუთე დღეა, გრძელდება. მომიტინგეები მთვრობას კორუფციაში ადანაშაულებენ და ეკონომიკური კრიზისის გადაჭრას ითხოვენ.

## დაუწესებს გერმანია ანკარას ეკონომიკურ სანქციებს?

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰეიკო მაასის თქმით, გერმანია თვალს ადევნებს თურქეთის ქმედებებს და შესაძლოა, ანკარას ეკონომიკური სანქციები დაუწესოს.

„ყველაფერი იმის შემდეგ, რაც ვიცით და ყველაფერი, რაც თურქეთმა თვითონ აჩვენა, როგორც სამართლებრივი საფუძველი, ჩვენ არ შეგვიძლია ამ მოსაზრების გაზიარება. ჩვენ არ გვჯერა, რომ ქურთულ დაჯგუფებებზე თავდასხმა ლეგიტიმურია საერთაშორისო სამართლის მიხედვით“, – აღნიშნა გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა. თურქეთის სამხედრო ოპერაციას გერმანიის თავდაცვის მინისტრიც გამოეხმაურა. ანეგრეტ კრამპ-კარენბაუერის თქმით, თურქეთმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წესრიგი დაარღვია, კონფლიქტები კი, ძალის ნაცვლად, დიპლომატიით უნდა მოგვარდეს.

## ბრიტანეთი ევროკავშირის დატოვებას 31 ოქტომბერს აპირებს

ამის შესახებ განცხადება ბრიტანეთის მთავრობაში გაკეთდა. საინფორმაციო სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, ბრიტანეთის მთავრობაში აცხადებენ, რომ მიუხედავად ბორის ჯონსონის მიერ ევროკავშირისთვის მიწერილი წერილისა, ბრიტანეთი ევროკავშირს მაინც 31 ოქტომბერს დატოვებს.

ევროკავშირთან ახალმა შეთანხმებამ თემთა პალატაში მხარდაჭერა ვერ მიიღო, რის გამოც ბორის ჯონსონს კანონი ავალდებულებდა, რომ ევროკავშირისთვის ბრექსიტის გადადება ეთხოვა.

აქამდე არსებული შეთანხმებით, ბრიტანეთს ევროკავშირი 31 ოქტომბერს უნდა დაეტოვებინა. ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ დაწერა, რომ ლონდონიდან წერილი მიიღო და საპასუხო ნაბიჯებზე კონსულტაციას ევროკავშირის ლიდერებთან გამართავს.

## ყირგიზეთს „ახალი ღმერთი“ ჰყავს

ყირგიზეთის პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა არსტანბეკ აბდილბაევმა თავი ღმერთად გამოაცხადა, რის გამოც მის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

პრესკონფერენციაზე აბდილბაევმა განაცხადა, რომ ის ღმერთია, 2020 წელს კი სამყაროს პრეზიდენტი გახდება. მისმა მომხრეებმა ქვეყნის პრეზიდენტ სოორონბაი ჟეენბეკოვისგან აბდილბაევისთვის „ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემა“ მოითხოვეს.

აბდილბაევის განცხადებებს ქვეყანაში რეზონანსი მოჰყვა, რის შედეგადაც რელიგიათა საკითხების სახელმწიფო კომისიის დირექტორმა აბდილბაევის განცხადების შესწავლა დააანონსა. ქვეყნის შსს-ს მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, გამოძიება რასობრივი, ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური და რელიაგათაშორისი შუღლის გაღვივების მუხლით მიმდინარეობს, დანიშნულია ლინგვისტიკური ექსპერტიზა.



არსტანბეკ აბდილბაევი საპრეზიდენტო არჩევნებზე კენჭს 2011 და 2017 წლებში იყრიდა.

◎ ტრიუმფი



# ქარვისფერი ღვინობისთვე

**მართლაც რომ ბარაქიანი შემოდგომა აქვთ ახალგაზრდა ქართველ ძიუდოისტებს. 5 მედალი — 3 „ოქრო“, თითო „ვერცხლი-ბრინჯაო“, ვაჟთა შორის საერთო ჩათვლაში დაკავებული მეორე ადგილი და გუნდურ ტურნირში მოპოვებული „ბრინჯაო“ — ასეთია მაროკოს ქალაქ მარაკეშის ტატამზე დასრულებულ ფორუმზე „ჯვაროსანთა“ მიერ მოხვეჭილი მონაგარი.**

უკვე გაუწყეთ, რომ სტარტზე ტრიუმფით იასპარეზა ეთერ ლიპარტელიანმა (57 კგ), რომელიც თანამემამულე ქალთაგან პირველი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

მოგვიანებით მსგავს წარმატებას ვლადიმერ ახალკაცმა (81 კგ) და ლაშა ბექაურმა (90 კგ) მიაღწიეს, ილია სულამანიძემ (100 კგ) მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო, ხოლო ტატო გრიგალაშვილი (81 კგ) საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა.

აღსანიშნავია, რომ ლიპარტელიანმა და ბექაურმა სეზონი დუბლით დააგვირგვინეს — შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინათ მათ თანატოლთა ევროპირველობაც მოიგეს.

ალბათ, დაგაინტერესებთ, როგორ გამოიჭედა გუნდური მესამე პრიზიორობა: ერთნაირი ანგარიშით — 4:1 ვძლიეთ მასპინძლებს, ბრაზილიელებსა და გერმანელებს, ნახევარფინალში კი, კონტინენტის ჩემპიონატის მსგავსად, 3:4 დავმარცხდით რუსებთან.

**ბეჟან დოლიძე**

◎ ძალოსნობა

# ღირსეული სტარტი

**რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტის ფიცარნაგზე დაწყებული 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი ირაკლი დოკვაძის (55 კგ) წარმატებით აღინიშნა. მან მკერდი ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა.**

ქართველმა შტანგისტმა ატაცში ზედიზედ დაძლია 102, 105 და 109 კგ და მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო აკვრაში მესამე პრიზიორი გახდა, რამაც ორჭიდში კარპატული ფორუმის ვიცე-ჩემპიონობა მოუტანა.

მეორე დღეს ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას კახი ასანიძე და გურამ გიორბელიძე (ორივე — 67 კგ) დაიცავენ.





**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ წყალბურთი

# მწარე ძირი

**მართალია, ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტი თბილისის „დინამო“ ჯერჯერობით ვერაფრით გვახარებს, მაგრამ, დარწმუნებულნი ვართ, სათანადო გამოცდილების მიღების შემდეგ რევაზ ჩომახიძის გაწვრთნილი გუნდი ქართული წყალბურთის სასახელო ტრადიციების შესატყვის შედეგებს მიაღწევს.**

რაც შეეხება ხორვატეთში „ბ“ ჯგუფის მეორე ტურში ზაგრების „მლადოსტთან“ გამართულ უთანასწორო ბრძოლას, მისი ბედი პირველივე პერიოდში გადაწყდა, რომელიც ფავორიტმა მასპინძლებმა 8:2 მოიგეს. კიდევ უფრო შთამბეჭდავია მატჩის საბოლოო ანგარიში — 21:11, თუმცა, ვიმეორებთ — ჩვენ ჯერაც მოსწავლის სტატუსით ვთამაშობთ ელიტაში და, ვიმედოვნებთ, მწარე ძირი კენწეროში გაგვიტკბილდება.

დავძენთ, რომ დინამოელთაგან ბურთები ელაჩამ (4), იმნაიშვილმა (2), ბითაძემ (2), რურუამ (1), მაგრაქველიძემ (!) და ბაღათურიამ (1) გაიტანეს.





**დანარჩენი შედეგები:** „ბუდაპეშტი“ (უნგრეთი) — „ჰანოვერი“ (გერმანია) 19:10, „პრო რეკო“ (იტალია) — „ტერასა“ (ესპანეთი 15:5, „ფერენცვაროში“ (უნგრეთი) — „მარსელი“ (საფრანგეთი) 13:7.

**სატურნირო მდგომარეობა:** „პრო რეკო“, „ბუდაპეშტი“, „ფერენცვაროში“ — 2-2, „მლადოსტი“, „ტერასა“ — 1-1, „მარსელი“, „ჰანოვერი“, „დინამო“ — 0 მოგება.

**30 ოქტომბერს ითამაშებენ:**

„მარსელი“ — „ჰანოვერი“, „მლადოსტი“ — „პრო რეკო“, „ფერენცვაროში“ — „ტერასა“, „დინამო“ — „ბუდაპეშტი“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ მშვილდოსნობა

# ოქროს ისრები

**ახლახან ყაზახეთის ქალაქ ჩიმკენტში გამართულ ჩუბინთა პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოვიდა აჭარის მთავრობის მიერ დაფინანსებული ბათუმელთა ტრიო ხათუნა ნარიმანიძის, ციკო ფუტკარაძისა და ნანა მახარაძის შემადგენლობით.**

მან ყველაზე უკეთ ისროლა გუნდურ ასპარეზობაში და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მეორე ადგილზე უზბეკები, მესამეზე კი მასპინძლები გავიდნენ.

**მანუჩარ გიორგაძე**





# საფეხბურთო მოზაიკა

**ეროვნული ლიგა. XXXI ტური.**

„დილა“ — „ბათუმი“ 0:0, „დინამო“ — „ლოკომოტივი“ 0:1, „ტორპედო“ — „საბურთალო 0:2, „ჩიხურა“ — „რუსთავი“ 3:2, „ვიტ ჯორჯია“ — „სიონი“ 0:0.



**სატურნირო მდგომარეობა:** „ბათუმი“ — 63, „დინამო“ — 62, „საბურთალო“ — 60, „ლოკომოტივი“ — 43, „ტორპედო“ — 40, „დილა“, „ჩიხურა“ — 38-38, „რუსთავი“ — 34, „სიონი“ — 32, „ვიტ ჯორჯია“ — 19 ქულა.

**ბომბარდირი:** ლევან კუტალია („დინამო“) — 17 გოლი.

**შემდეგი ტური:** „სიონი“ — „ჩიხურა“, „ბათუმი“ — „ვიტ ჯორჯია“ (26 ოქტომბერი), „რუსთავი“ — „ტორპედო“, „საბურთალო“ — „დინამო“, „ლოკომოტივი“ — „დილა“ (27 ოქტომბერი).

* * *

**იტალია. VIII ტური.** „იუვენტუსი“ — „ბოლონია“ 2:1, „სასუოლო“ — „ინტერი“ 3:4, „ლაციო“ — „ატალანტა“ 3:3, „ნაპოლი“ — „ვერონა“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „იუვენტუსი“ — 22, „ინტერი“ — 21, „ატალანტა“ — 17, „ნაპოლი“ — 16 ქულა.

**ესპანეთი. IX ტური.** „ეიბარი“ — „ბარსელონა“ 0:3, „მალიორკა“ — „რეალი“ 1:0, „გრანადა“ — „ოსასუნა“ 1:0, „ატლეტიკო“ — „ვალენსია“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ — 19, „რეალი“ — 18, „გრანადა“ — 17, „ატლეტიკო“, „სევილია“, „სოსიედადი“ — 16-16 ქულა.

**ინგლისი. IX ტური.** „მანჩესტერი“ — „ლივერპული“ 1:1, „კრისტალ პალასი“ — „სიტი“ 0:2, „ლესტერი“ — „ბარნლი“ 2:1, „ჩელსი“ — „ნიუკასლი“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლივერპული“ — 25, „სიტი“ — 19, „ლესტერი“, „ჩელსი“ — 17-17 ქულა.

**გერმანია:** VIII ტური. „დორტმუნდი“ — „გლადბახი“ 1:0, „ლაიფციგი“ — „ვოლფსბურგი“ 1:1, „აუგსბურგი“ — „ბაიერნი“ 2:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „გლადბახი“, „ვოლფსბურგი“ — 16-16, „ბაიერნი“, „დორტმუნდი“, „ლაიფციგი“ — 15-15 ქულა.

**გიორგი შოთაძე**

◎ ოვალური ბურთი

# ასეც ვიცოდით...



**რომ იტყვიან, სამართალმა პური ჭამა — იაპონიაში მიმდინარე სარაგბო მსოფლიო თასის ნახევარფინალში მართლაც უძლიერესნი დაწყვილდნენ: ახალი ზელანდია ინგლისი (26 ოქტომბერი) და სამხრეთი აფრიკა — უელსი (27 ოქტომბერი).**

მართალია, საუკეთესოთა კვარტეტმა ღირსეულად უწია ტიტულის ზღურბლს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ „წითელ ურჩხულებს“ მძიმე გამარჯვების მოპოვებაში ხელი მეტოქის მეორეხაზელმა ვაჰაამაჰინამ შეუწყო, რომელმაც მოლში ბრძოლისას ოპონენტს სახეში იდაყვი უთავაზა. ბუნებრივია, იგი მინდვრიდან გააძევეს, დარჩენილ ნახევარ საათში კი რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა.

**მეოთხედფინალები:** ახალი ზელანდია — ირლანდია 46:14, ინგლისი — ავსტრალია 40:16, სამხრეთი აფრიკა — იაპონია 26:3, უელსი — საფრანგეთი 20:19.

**კობა კობახიძე**

ადამიანები და ნივთები

# სულის აფთიაქიდან თავისუფლების ატრიუმამდე

**ინტერნეტისა და ვიკიპედიის ეპოქაში საჯარო ბიბლიოთეკები (მავანთა ცრუწინასწარმეტყველურ განცხადებათა მიუხედავად!) კვლავაც განაგრძობენ მასების განათლების უკეთილშობილეს მისიას. ბიბლიოთეკაში ამა თუ იმ წიგნის მოთხოვნისას ჩვენ იშვიათად თუ ვუფიქრებდით იმას, თუ რაოდენ დიდი შრომაა ჩადებული საცავებში დაცული გამოცემების სისტემატიზაციაში მოსაყვანად. არადა, ეს ჭეშმარიტი ხელოვნებაა, რომლის ასაკი მრავალი საუკუნით იზომება.**

იმის გამო, რომ წიგნები, რომლებიც ამჟამად ჩვენი ყოველდღიური ყოფის საყოველთაოდ მიღებულ ატრიბუტს წარმოადგენენ, 50 საუკუნის წინათ ამჟამინდელი სახით არ არსებობდნენ, ამიტომ ბუნებრივია, არც ბიბლიოთეკები იყო. იმ ხანებში იყო ჩვეულებრივი ყუთები, რომლებშიც — ცხადია, გარკვეული თანამიმდევრობით — თიხის ფირფიტებს აწყობდნენ.

ჩვენამდე მოღწეული უძველესი წერილობითი დოკუმენტი ჩ. წ.-მდე დაახლოებით 3500 წლით თარიღდება. ესაა შუმერის ქალაქ ქიშის გათხრების დროს აღმოჩენილი ქვიშაქვის ფირფიტა, რომელზეც, სოლისებრი დამწერლობით, სავარაუდოდ, რაღაც სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ჩანაწერია. რამდენიმე საუკუნის მანძილზე შუმერები თავიანთ დამწერლობას ხვეწდნენ და



ჩ.წ.-მდე 3200-3100-იან წლებში პრიმიტიული პიქტოგრაფიული ნიშნებიდან, რომლებიც უფრო პრიმიტიულ ნახატებს ჰგავდნენ, გაცილებით უფრო რთულ იდეოგრამებზე გადავიდნენ, რომლებითაც არა მარტო საგნებს, არამედ ცნებებსაც აღნიშნავდნენ.

თიხის ფირფიტებს — თემების მიხედვით, — შუმერები ტირიფის ტოტებიდან მოწნულ კალათებში აწყობდნენ.

ჩვენ დრომდე მოღწეული პირველი ბიბლიოთეკა ასურეთის უკანასკნელ დიდ მეფეს **აშურბანიფალს** ეკუთვნოდა, რომელიც ჩ.წ.ა-მდე 669-62 წლებში მეფობდა და სახელი მოქნილი პოლიტიკითა და წარმატებული სამხედრო მოღვაწეობით გაითქვა. თანაც, ყველა ღირსებასთან ერთად, იგი ფრიად განსწავლული კაციც ყოფილა — წერა-კითხვა რამდენიმე ენაზე იცოდა და, როგორც ჩანს, თავდაპირველად ქურუმობისთვის ამზადებდნენ. გამეფებიდან მალევე მეფემ იმ დროისთვის მთელი დაგროვილი ცოდნის ერთ ადგილას თავმოყრა გადაწყვიტა. 25 წლის მანძილზე იგი მწერლებს ყველა მხარეს გზავნიდა და ძველი ისტორიული, ჯადოსნური და ლიტერატურული ტექსტების გადაწერას ავალებდა. ამავე თხოვნით იგი მეზობელი ქვეყნების მმართველებს მიმართავდა, რათა მისთვის მათ ხელთ არსებული არქივების ასლები მიეწოდებინათ. ნინევიის ბიბლიოთეკაში ასევე აბინავებდნენ სამხედრო ლაშქრობებში ნადავლის სახით მოპოვებულ ხელნაწერებს.

ისე კი, ცნობისთვის, ვფიქრობთ, საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ მეფე აშურბანიფალის ბიბლიოთეკაში 250 ათასი თიხის ფირფიტა იყო დაცული(!).

მაინც, რა ინახებოდა სამეფო ბიბლიოთეკის საცავეებში? ეს, პირველ ყოვლისა, იყო **მითოლოგია** და **ლიტერატურა,** კერძოდ კი გილგამეშის ეპოსი და სამყაროს შექმნის ამბავი „ენუმა ელიში". შემდეგ, **ეზოთერიკა** — გათვალვისა და შელოცვის, წინასწარმეტყველებათა ტექსტები, მაგიური და რელიგიური რიტუალების აღწერები, ლოცვები და სიმღერები. ასევე მრავლად იყო **სამედიცინო, საისტორიო და ასტრონომიული ტექსტები, იურიდიული დოკუმენტები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ჩანაწერები, პოლიტიკური და დიპლომატიური მიმოწერა.**

თიხის ფირფიტები დაწერილია ასირიულ, ბაბილონურ, შუმერულ ენებზე, აგრეთვე აქადური ენის დიალექტზე. ტექსტები ხშირად სხვა ენებზეცაა დუბლირებული, რაზეც სათანადო აღნიშვნა მიუთითებს. მეფე აშურბანიფალი პირველი „ბიბლიოთეკარი" იყო, ვინც „წიგნები" გარკვეული სისტემით განალაგა და თავისი საფირმო ნიშნით — „ექსლიბრისით" დადაღა. ექსლიბრისი, ალბათ, მისი გამოგონება არ არის, მაგრამ, ფაქტია, რომ მისი ხმარება მეფემ პირველმა დაიწყო. მეორე მნიშვნელოვანი სიახლე კი ის იყო, რომ ყველა ფირფიტაზე მითითებულია პირველწყარო. თანაც, აშურბანიფალის ბიბლიოთეკისთვის ქალაქში საგანგებოდ ცალკე სასახლე აიგო, რომელსაც „დარიგებებისა და რჩევების სახლი" ეწოდა. ყველა ფირფიტა სათანადო კატალოგში იყო შეტანილი — ფაქტობრივად ისე, როგორც თანამედროვე ბიბლიოთეკებშია.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „თიხის ბიბლიოთეკები" მარტო ასირიელებს როდი ჰქონდათ. 1906 წელს გერმანელმა მეცნიერმა **ჰუგო ვინკლერმა** ხეთურ ბიბლიოთეკას მიაგნო, რომელშიც 14 ათასი ფირფიტა იყო, თანაც იდეალურად დალაგებული. სხვათა შორის, სწორედ ხეთურ თიხის ფირფიტებზე ისტორიაში პირველად მითითებული იყო სამეცნიერო და ლიტერატურულ თხზულებათა ავტორების ვინაობა.

სხვა გზა აირჩიეს ძველ ეგვიპტეში, სადაც შუმერთა გამოგონების ამბავი კი იცოდნენ, მაგრამ საწერად პაპირუსის ფურცლებს ამჯობინებდნენ. ერთ-ერთი უძველესი ეგვიპტური ბიბლიოთეკა ფარაონმა რამზეს II-მ ფივაში, რამესეუმ ტაძართან ააგო და მას „სულის აფთიაქი" ეწოდებოდა. საგულისხმოა, რომ ეგვიპტელებში ბიბლიოთეკის მცველის თანამდებობა შთამომავლობითი იყო — და, ისევე, როგორც გადამწერის პროფესია, მეტად საპატიოდ მიიჩნეოდა. ეგვიპტეში უამრავი როგორც სატაძრო, ისე კერძო ბიბლიოთეკა იყო, თუმცა მათგან ცოტა რამ თუ გადაურჩა ჟამთა სიავეს — ყველაზე ცნობილი ალექსანდრიის ბიბლიოთეკაც კი, რომელშიც ათასზე მეტი გრაგნილი ინახებოდა, ცეცხლმა შთანთქა.




თიხისა და პაპირუსის ალტერნატივას მიაგნეს პერგამის სამეფოში, სადაც პერგამენტი გამოიგონეს, რომელიც ცხვრის ან თხის გამოყვანილი ტყავისგან მზადდებოდა. ამდენად, ანტიკური ხანის სიდიდით მეორე ბიბლიოთეკა, რომელიც მეფე ევმენ II-მ ჩ.წ.-მდე II საუკუნეში დააარსა, „ტყავისა" იყო და 200 ათასზე მეტ გრაგნილს მოიცავდა. ამ ბიბლიოთეკის განმასხვავებელი ნიშანი მსოფლიოში პირველი სამკითხველო დარბაზი იყო, რომელიც უკვე გასანიავებელ ფუნქციასაც ითავსებდა.

პერგამენტის გაჩენის შემდეგ, ძვირადღირებული და მყიფე პაპირუსის ხმარებაზე უარი ბერძნებმაც თქვეს. ამიტომაცაა, რომ გარკვეული დროიდან მოყოლებული, ყველა ანტიკური ბიბლიოთეკა პერგამენტური გრაგნილებისგან შედგებოდა.

სხვათა შორის, თავად სიტყვა „ბიბლიოთეკასაც" ბერძნებს უნდა ვუმადლოდეთ, ხოლო საჯარო ბიბლიოთეკების იდეას — რომაელებს: ჩ.წ.-ამდე 39 წელს **გაი აზინიუს პოლიონმა** თავისუფალი შესვლის ბიბლიოთეკა გახსნა, რომელსაც „თავისუფლების ატრიუმი" ეწოდებოდა.

**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძემ**

სანთელი

## გურამ ლასხიშვილი



**ვემშვიდობებით სიყვარულითა და ერთგულებით მეგობრობასა და სანათესავოში გამორჩეულ ადამიანს, უშესანიშნავეს პიროვნებას, არაჩვეულებრივ მეოჯახეს გურამ ლასხიშვილს.**

**იგი 71 წლის წინათ დაიბადა ცნობილი იურისტის ოთარ ლასხიშვილისა და ციალა თაბუკაშვილის (დიდი რეზო თაბუკაშვილის დის) ოჯახში. გურამმა თითქმის 40 წელი იმუშავა განათლების სამინისტროში რიგითი თანამშრომლიდან უმაღლესი განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელამდე. მას მოიხსენიებენ როგორც პრინციპულ, რაინდული სულისკვეთების პიროვნებას, სიკეთით სავსე და ადამიანური ხიბლით დაჯილდოებულ მოქალაქეს.**

**გურამ ლასხიშვილის სახით ოჯახმა დაკარგა მოსიყვარულე მამა და ბაბუა, სამეგობრომ და სანათესავომ — ერთგულების განსახიერება, ქვეყანამ — დიდი პატრიოტი ადამიანი, განათლების სფერომ — პროფესიონალი.**

**მშვიდობით, გურამ!**

**მეგობრები**



**მეუღლე ელენე კაშია, შვილი რემი დონაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

## კონსტანტინე დონაძე

**პანაშვიდი: 22, 23 X, გამოსვენება 24 X, 14 სთ.**

**მის: გარდაბნის რაიონი, სოფ. კრწანისი (გიგანტი), კორპ. 5**

---

**მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

## კონსტანტინე დონაძე

**და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

# ქართველი ასტროფიზიკოსის ჰიპოთეზა

**თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასტროფიზიკოსმა ზაზა ოსმანოვმა „ფერმის პარადოქსს" ახალი ახსნა გამოუძებნა. ქართველი მეცნიერის მიერ წარმოდგენილი თეორიის შესახებ გამოცემა Science Alert-ი წერს.**

ასტროფიზიკოსი მიიჩნევს, რომ კაცობრიობამ უცხოპლანეტელთა ცივილიზაციის კვალი იმიტომ ვერ აღმოაჩინა, რომ ისინი კოსმოსური ხომალდების ნაცვლად ნანოსტრუქტურულ ზონდებს იყენებენ.

ოსმანოვის იდეა ეფუძნება ფონ ნეიმანის ზონდების ჰიპოთეტურ კონცეფციას — თვითწარმოებადი კოსმოსური ხომალდების, რომლებსაც კოსმოსის დამოუკიდებლად შესწავლა შეუძლიათ, მაშინ როდესაც მათი შემქმნელები თავის პლანეტაზე ცხოვრობენ. ზონდების მუშაობისთვის საჭიროა რესურსების მუდმივი წყარო, მეცნიერებმა კი არ იციან, არსებობს თუ არა კოსმოსში ასეთი რესურსი. ზაზა ოსმანოვმა ამ პრობლემას გვერდი აუარა და ივარაუდა, რომ ზონდების ზომა ძალიან მცირეა და ნანომეტრს არ აღემატება. მისი აზრით, ნანოსკოპურ ზონდებს თვითწარმოებისთვის წყალბადის ატომების გამოყენება შეუძლიათ.

ფერმის პარადოქსი ეხება აშკარა წინააღმდეგობას არამიწიერი სიცოცხლის არსებობის არანაირ მტკიცებულებასა და მის დიდ ალბათობას შორის. ამ მოვლენას სახელი მეცნიერ ენრიკო ფერმის პატივსაცემად უწოდეს.



# ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი №1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ზ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ი) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ლ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩიხას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ყვირილაზე, ,,საჩხერის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია $C_2$+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 47 580 მ$^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩიხას მიმდებარე ტერიტორია, |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 33 960 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3 396 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 596 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 24 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 22 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 22 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 22 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
